# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 24 აპრილი, 2010 წელი.

№76 (6442)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## ღია წერილი ზურაბ ნოღაიდელს მისი წარსული საქმიანობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტის შეფასების თანხლებით

5

## ყაზანში შეიქმნა „საქართველოსთვის“ მოძრაობის ფილიალი



3

## ქართველისათვის საქართველოა სამშობლო მხოლოდ!..

## მაინც ვინ და როგორ უნდა „გააიმასქნან“ პირდაპირ ეთერში სიტყვიერად თუ რეალურად, რომ...



4

## „შენც მალე დამთავრდები!“

რა გაუმხილა პატარკაციშვილმა შაშიაშვილს სიკვდილამდე ორი დღით ადრე?

2



## ქართველები პეტერბურგში რევოლუციას ამზადებენ

РОСБАЛТ

8

## გივი თარგამაძე სიდედრს სახლს უშენებსო...

3



9

## მოხეტიალე მშენებლები, ანუ გაუბედურებულ მენაშენეთა ისტორია



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები ულრმესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალათ კოლეგა და მეგობარი, ნიჭიერი ჟურნალისტი და შემოქმედი, ნამდვილი პატრიოტი და მოქალაქე

ვასილ მჭედლიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

თეთრები

# რა გაუმხილა პატარკაციშვილმა შაშიაშვილს სიკვდილამდე ორი დღით ადრე?

## „შენც მალე დამთავრდები!“



**5 მაისს „თეთრების“ ორგანიზებით „მხილების მუზეუმი“ გაიხსნება, პარალელურად დაიწყება პროექტი „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“. ორივეს ერთი საერთო იდეა და მიზანი აერთიანებს — გააშიშვლონ ხელისუფლება.**

თუმცა იქამდე თემურ შაშიაშვილი ყოველკვირეულ ბრიფინგზე ნაწილ-ნაწილ აწვდის საზოგადოებას იმ მასალებსა თუ ეჭვებს, რასაც ხელისუფლების პასუხისმგებლობა უნდა მოჰყვეს. მაგრამ, სანამ „სამართალი პურს შეჭამს“, „თეთრების“ ლიდერს უპირებენ გაქრობას. „შენც მალე დამთავრდები!“ — ასეთი მუქარის ტექსტები უკვე ჩვეულებრივი ამბავია შაშიაშვილის მობილურ ტელეფონზე.

გუშინდელი ბრიფინგის თემა პატარკაციშვილი-კოდუას ცნობილი საუბრის ვიდეოჩანაწერს შეეხებოდა. შაშიაშვილი ამბობს, რომ კოდუას ფირი არ ჰქონდა, ხოლო ის, რაც საზოგადოებამ იხილა, თავად ბადრი პატარკაციშვილის მიერ იყო ჩაწერილი, რომელიც მან ტელეკომპანია „იმედს“ მიაწოდა. თუმცა ტელევიზიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ფირი, ეთერში გაშვების მაგიერ, ხელისუფლებას მიაწოდა. **„ეს იყო დიდი მზაკვრობა იმ ადამიანებისგან, რომლებიც ფეხზე დააყენა ბადრი პატარკაციშვილმა, სახელიც შეუქმნა და მილიონებიც მისცა“,** — ამტკიცებს შაშიაშვილი. ის ყოველნაირად ეცადა კონკრეტული სახელების დასახელებისგან თავი აერიდებინა, თუმცა იქვე გაირკვა, თუ ვინ იყვნენ ისინი: გიორგი თარგამაძე, ლევან ვეფხვაძე, ბიძინა ბარათაშვილი, ინგა გრიგოლია... „მოღალატენი ისევ ზეობენ, დემოკრატობენ, ჭკუას გვასწავლიან“, — ამბობს „თეთრების“ ლიდერი.

თემურ შაშიაშვილი პროკურატურას თანამშრომლობას სთავაზობს, ვინაიდან ის სიკვდილამდე ორი დღით ადრე ელაპარაკა პატარკაციშვილს. ბადრიმ მას დაუსახელა ის ხუთი ადამიანი, რომელსაც მილიონი გადაუხადა კარიერის ასაწყობად, მაგრამ ისინი ზარებსაც არ პასუხობდნენ. პატარკაციშვილიდანვე იცის, რომ ვიდეოჩანაწერის ავტორი თავად ბადრი იყო. გამოძიება შაშიაშვილის ჩვენებით ჯერ არ დაინტერესებულა. მეტიც, საქმის ძიება საერთოდ არ მიმდინარეობს.

თუკი კოდუას თან არ ჰქონდა ჩამწერი ტექნიკა, მაშინ რა მიზეზით ჩავიდა ის პატარკაციშვილთან სასაუბროდ? რა ილაპარაკეს ოპოზიციონერმა ლიდერმა და სოდ-ის შეფმა? — შაშიაშვილი დეტალებს არ ახმაურებს, თუმცა მან ამის შესახებ იმაზე მეტი იცის, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. შაშიაშვილმა მხოლოდ ის დეტალი გათქვა, რომ პატარკაციშვილი კანონიერი ქურდის — ტარიელ ონიანის შუამავლობით დათანხმდა კოდუასთან შეხვედრას.

კრიმინალური პოლიციის ახალი შეფი კვირის მედიის ფავორიტად შეიძლება იქცეს, რადგან მასზე ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა. ყველაზე დიდი კომპრომატი, რასაც მას საზოგადოება უყენებდა, სწორედ პატარკაციშვილთან დაკავშირებული დეტალები იყო. ამბობდნენ, რომ სწორედ მან იცის ის რეალობა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში თანამებრძოლების წინააღმდეგ გამოიყენებს...

**პატარკაციშვილი-კოდუას საუბრის ვიდეოჩანაწერის შესახებ შაშიაშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდები და კითხვები უკ-**



**ვე დიდი ხანია თავად საზოგადოებამაც დასვა, მაგრამ სამწუხაროდ, არ არსებობს ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა, სიტყვიერი ჩვენებების გარდა. კვლავ პასუხს ელოდება კითხვა — მოკლეს თუ არა ბადრი პატარკაციშვილი? — შაშიაშვილის პასუხი ასეთია: „იმედის“ მაშინდელი თანამშრომლებისთვის უმჯობესია მოკლული იყოს პატარკაციშვილი, რადგან თუ ის მართლა გულით გარდაიცვალა, ეს სწორედ მათი ღალატის გამო“...**

თეა მოსია

კვლევა

# წინასაარჩევნო პროცესი დარღვევებით მიმდინარეობს

**30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გადამწყვეტ ფაზაში შედის და საყოველთაო ყურადღების ცენტრში ექცევა. თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება არა მარტო უშუალოდ არჩევნებზე დაკვირვებას, არამედ მთლიანად წინასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობას დაეთმო. პირველ რიგში, ეს ეხებოდა საარჩევნო სიების შემოწმებას და მასში ცვლილებების შეტანას. მონიტორინგის წინასწარი შედეგები უკვე წარმოადგინა სხვადასხვა ორგანიზაციამ, მათ შორის — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. გუშინ მათ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს კვლევის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნეს.**

საია-ს თავმჯდომარე თამარ ხიდაშელმა მედიას ეს მონაცემები ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე წარუდგინა. როგორც აღმოჩნდა, ახალგაზრდა იურისტებმა განსაკუთრებით მეტი დარღვევა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თვალსაზრისით აღმოაჩინეს. სახელისუფლებო პარტია მერიის ლოგოს და ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებს საკუთარი პიარკამპანიისთვის იყენებს, რაც საარჩევნო კოდექსის და ეუთოს დადგენილი საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევად უნდა შეფასდეს. ფაქტობრივად ადგილი აქვს ხელისუფლების მხრიდან კონკურენტი პარტიების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას.

საია-ში აცხადებენ, რომ 2009 წელთან შედარებით თბილისის მერიის ხარჯები 84 მილიონი ლარით გაიზარდა, რომლის დიდი ნაწილიც ძალიან ძვირადღირებულ სოციალურ პროგრამებზე დაიხარჯა, ეს პროგრამები კი მმართველმა პარტიამ და მოქმედმა მერმა გიგი უგულავამ სათავისოდ გამოიყენეს.

**თამარ ხიდაშელი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე:**

— სოციალურ პროგრამებზე მერიამ უზარმაზარი თანხები გამოყო, მერიიდან ინფორმაცია გამოვითხოვეთ, რაზეც უარი განგვიცხადეს. რაც შეეხება მმართველი პარტიის მიერ საагიტაციო მასალებში მერიის ლოგოს და სლოგანის გამოყენებას („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სარეკლამო ბიულეტენებში მოთავსებული სლოგანი და ლოგო „მე მიყვარს თბილისი“ სახელმწიფოს და მერიის საკუთრებაა), რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ დაუშვებელია.

თამარ ხიდაშელმა ყურადღება გაამახვილა, მერიის ვებ-



გვერდზე მოთავსებულ 5-იანზე, რომელიც არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის პარტიული ნომერია და საიტიდან ამ ნიშნის ამოღება მოითხოვა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მარტო თბილისის მასშტაბით არ ტარდება. ეს პროცესი ეხება რეგიონებსაც და, რა თქმა უნდა, რეგიონების წინასაარჩევნო ვითარებაზე დაკვირვებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მით უმეტეს უყურადღებობა გაყალბების გაცილებით მეტ საშუალებას იძლევა, რითაც ხშირად სარგებლობენ კიდეც.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ პრესკონფერენციაზე საქართველოს 7 რეგიონში ჩატარებული დაკვირვების შედეგებიც წარმოადგინა და განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ განხორციელებულ ზეწოლის ფაქტებს. კონკრეტულად კი ოპოზიციური კანდიდატების გადაბირების და მათი დაშინების მცდელობის შემთხვევებს. ამასთან, რამდენიმე რაიონში ადგილობრივი ხელისუფლების და საოლქო კომისიის წარმომადგენლები ადმინისტრაციული რესურსის ხარჯზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ აგიტაციას ეწევიან, რაც საარჩევნო კოდექსს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს.

— მოვუწოდებთ პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფს, მეტი ყურადღება გამოიჩინონ წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი მსგავსი დარღვევების მიმართ და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ.

ასევე — თბილისის მოქმედ მერს, შეასრულოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და თბილისის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამები გამჭვირვალე გახადოს, რათა საზოგადოებამ მარტივად მოიპოვოს ინფორმაცია, თუ რომელ პროექტში სახელმწიფომ რამდენი თანხა გადაიხადა და რამდენად მიზანშეწონილად განაწილდა ეს თანხები, — აცხადებენ საია-ში.

**როგორც უკვე ვთქვით, ეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დაკვირვების მხოლოდ შუალედური მონაცემებია. ისინი კვლავ აგრძელებენ წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგს და ახლად აღმოჩენილ დარღვევებსაც მალე წარუდგენენ საზოგადოებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს.**

ანა წიწილაშვილი

კონფლიქტის ზონა

## დააკავეს სანაკოევის ადმინისტრაციის თანამშრომელი

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავებულია სამხრეთ ოსეთის ქართული ადმინისტრაციის ეკონომიკური განვითარების მინისტრი თეიმურაზ ჯერაპოვი.**

**ჯერაპოვი დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაციაში ეკონომიკური განვითარების მინისტრად მუშაობდა. რუსული მედიის ცნობით, ამ დროისთვის დაკავებული პატიმრობაში იმყოფება და გამოძიებას ჩვენებას აძლევს.**

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, თეიმურაზ ჯერაპოვს, 2006-2008 წლებში „ჩადენილი დანაშაულებებისთვის“ ეძებდნენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## ევროსაბჭო თავის პრინციპებს ღალატობს

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლის დევიდ ვილშაერის ბორის ჩოჩიევთან შეხვედრის გამო შეშფოთებას გამოთქვამს.**

როგორც ოფიციალური თბილისის საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი, „აღნიშნული ქმედება პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის მთავარ, ანუ ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპებს და ხელყოფს ევროპის საბჭოს სტატუტს, ისევე როგორც საპარლამენტო ასამბლეის ყველა იმ რეზოლუციას, რომლის შესრულების შეფასებაც დავალებული ჰქონდა ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტს“.

— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს მტკიცე პროტესტს ამ შემაშფოთებელ ფაქტთან დაკავშირებით. საქართველო გამოხატავს სრულ პატივისცემას პარლამენტარის თავისუფლების მიმართ, თუმცა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი ბ-ნი ვილშაერი, მოქმედებდა ასამბლეის თანამომხსენებლის სტატუსით და შესაბამისად წარმოადგენდა მთელ ორგანიზაციას. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შეხვედრა გამართა მარიონეტული რეჟიმების „საელჩოს“ შენობაში... ეს წარმოადგენს ევროპის საბჭოსა და მისი წევრი სახელმწიფოების პოზიციის იგნორირებას, რომლებმაც დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების აღიარება და მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას ამ უკანონო და ცალმხრივი აღიარების გაუქმებისკენ. უფრო მეტიც, ეს მოწმობს, რომ ბ-ნ ვილშაიერს გააჩნია წინასწარ ჩამოყალიბებული მიკერძოებული პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით, რომელმაც შესაძლოა რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებზე საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციების იმპლემენტაციას, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

## სააკაშვილმა რუსეთი დაადანაშაულა...

**რუსეთის ფედერაცია ურანის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრალდებებს აპროტესტებს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი იგორ ლიაკინ-ფროლოვი საქართველოს პრეზიდენტს სიცრუეში ადანაშაულებს.**

სააკაშვილმა ვაშინგტონის ბირთვულ სამიტზე განაცხადა, რომ საქართველოში კონტრაბანდისტები დააკავეს, რომლებსაც გამდიდრებული ურანი აღმოაჩნდათ. მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთი ურანით მოვაჭრეების ხელის შეწყობაში დაადანაშაულა.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში აცხადებენ, რომ მომხდარის შესახებ მათთვის ცნობილია და გამოძიებაში ჩართულნი არიან. შეერთებული შტატები კი საქართველოს საშიში მასალების გავრცელებისათვის ბრძოლაში მადლობას უხდის.

საგარეო უწყების განცხადება, ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ფილიპ კრაულიმ ბრიფინგზე გააკეთა. მისი თქმით, საქართველომ აჩვენა, რომ პასუხისმგებლობა აქვს და შეუძლია რეგიონში ურანის გავრცელება არ დაუშვას.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ მარად და ყველგან...


ყაზანში ფილიალის გახსნის დროს

**რუსეთში ახალშექმნილმა მოძრაობამ „საქართველოსთვის", რომლის შემადგენლობაშიც რუსეთის ფედერაციის 53 რეგიონი შედის და რომლის ყრილობა მიმდინარე წლის 26 მარტს ქ. მოსკოვში ჩატარდა** (ყრილობა იმით იყო გამორჩეული, რომ რეგიონების ასეთი აქტიურობით რუსეთში ჯერარცერთიორგანიზაციაარ შექმნილაქ, **სულ ახლახან, 21 აპრილს, ქ. ყაზანში თავისი ფილიალი გახსნა.**

გახსნას დაესწრნენ თათრეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, დიასპორების ხელმძღვანელები და 1000-ზე მეტი ადამიანი.

# ქართველისათვის საქართველოა სამშობლო მხოლოდ!..

## ყაზანში შეიქმნა „საქართველოსთვის" მოძრაობის ფილიალი


მომლოცველთა ჯგუფი რაიფის მონასტერთან

**ჩვენ ყველა რეგიონში შევქმნით ქართული კულტურის კერას, სადაც იღვაწებენ საქართველოდან იძულებით გადაადგილებული ადამიანები.**

**მე, როგორც ქართველს სხვა სამშობლო არა მაქვს და არც სხვა თვალსაწიერი, გარდა სოხუმისა. დასასრულს ბატონმა მინდიამ დამსწრე საზოგადოებას ამაღლებული პათოსით მიმართა: „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს: ერთი — საწუთისოფლო, როგორც აღმაშენებელი, და მეორე — უფალთან წარსადგენი, როგორც წმინდა დავითი".**

მოსკოვიდან ჩასულმა, ორგანიზაცია „საქართველოსთვის" ხელმძღვანელმა **მინდია გულუამ** და აქტივისტებმა — პოეტებმა, მომღერლებმა და გამორჩეულმა მოღვაწეებმა — დღე ყაზანის წმინდა ადგილებში ლოცვით დაიწყეს და რაიფის მონასტერში ქართული ეკლესიის წმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს საქართველოს გამთლიანება და რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაპირისპირების მშვიდობიანი გზით მოგვარება შესთხოვეს.

ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ქ-მა **მაია ხუხუნაშვილმა** სვეტიცხოვლიდან ჩამობრძანებული ხატი და სანთლები გადასცა მამა მარკოზს და სთხოვა, დაელოცა ამ ორგანიზაციის პირველი ნაბიჯები.

მამა მარკოზის კურთხევის შემდეგ ორგანიზაციის წევრებმა გადაინაცვლეს „მეგობრობის სახლში", სადაც დაიწყო იდეების გაცვლა-გამოცვლა.

ორგანიზაციის წევრებმა მოინახულეს საკვირაო სკოლა და იქაურ პრობლემებს გაეცნენ. ბავშვებთან შეხვედრა საქართველოს ჰიმნით და ნოსტალგიით გამოწვეული ცრემლებით დასრულდა.

საღამოს 6 საათზე კი „პირამიდის" დიდ საკონცერტო დარბაზში სხდომა გაიმართა, რომელსაც 1000-ზე მეტი ადამიანი დაესწრო.

სხდომაზე მოძრაობა „საქართველოსთვის" ლიდერმა ბატონმა მინდია გულუამ განაცხადა: **ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ. ერი,რომელიც მოახერხებს თავისი ეროვნული ფასეულობების ინტეგრირებას მსოფლიოს ერთიან ინფორმაციულ, სავაჭრო, ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში, უსათუოდ გადარჩება და გაიმარჯვებს.**

ღონისძიება კონცერტით დასრულდა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სტუმარ-მასპინძლები. ლექსი, მუსიკა, სიმღერა, ცეკვა...

რაიფის მონასტერში მადლცხებულმა, მოსკოვიდან ჩასულმა ქართველმა სტუმრებმა ყაზანის ქართველებს ნამდვილი დღესასწაული მოუწყვეს.

**დასასრულს სიმღერა „არგოთი" სტუმრებმა გზა დაალოცვინეს დარბაზში მყოფ მასპინძლებს და იმედიანად დაემშვიდობნენ ერთმანეთს.**

გიორგი დავითაშვილი,
„სრ" სპეც. კორ. ყაზანი-თბილისი


ყაზანის საკვირაო სკოლაში

◉ პროტესტი

# გივი თარგამაძე სიდედრს სახლს უშენებსო...

**ლეიბორისტები წვიმასა და ქარს რომ არ უშინდებიან და აქციებს ამის მიუხედავადაც მართავენ, ეს ნაცნობია. გუშინ კიდევ ერთხელ გამართეს აქცია-ბრიფინგი აბაშიძის №42-ში, სადაც ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის გივი თარგამაძის სახლის მშენებლობა გააპროტესტეს.**

როგორც ირკვევა, რამდენიმე წლის წინათ აბაშიძის №42-ში მოსახლეობამ საკუთარი ხარჯებით გაამაგრა კედელი, რომლის ჩამონგრევის საშიშროებაც იყო. კანონით ეს ტერიტორია მიმდებარე კორპუსებში მცხოვრებ მოსახლეობას ეკუთვნის, მაგრამ ამ კედლის ადგილას გივი თარგამაძემ სიდედრისთვის სახლის მშენებლობა გადაწყვიტა, მოსახლეობის თქმით ეს სამი წლის წინათ დაიწყო. ლეიბორისტების ერთ-ერთი წევრის პაატა ჯიბლაძის განცხადებით, ეს კანონის დარღვევაა, მისივე თქმით, პარტია უკვე მეორედ მართავს აქ აქციას, მაგრამ უშედეგოდ. ქალაქის მერიას ეს სულაც არ აინტერესებს.



შეკრებილ მოსახლეობას შორის იყვნენ რეზო და ბაია ამაშუკელები, რომლებიც იქ ცხოვრობენ და, ასევე, აპროტესტებენ ამ სახლის მშენებლობას.

ბაია ამაშუკელი: „მთელმა კორპუსმა ფული შევაგროვეთ და კედელი გავამაგრეთ, თარგამაძემ კი სახლის მშენებლობა წამოიწყო, რაც კანონის ფარგლებში არ არის გამართლებული. მშენებლობა მიმდინარეობს ჩვენს ტერიტორიაზე. ყველამ კარგად ვიცით, რომ თარგამაძის ძმას სამშენებლო ბიზნესი აქვს, და თურმე მისთვის ყველაფერი შეიძლება?! მინდოდა მამაჩემის სახლზე ზემოდან დაშენება და უფლება არ მომცეს, მას კი ამის უფლება აქვს?!"

მოსახლეობის თქმით, მშენებლობა ხან დაიწყება და ხან გაჩერდება, შეწყდა მშენებლობა, როცა მოსახლეობამ სარჩელი სასამართლოში შეიტანა, ხოლო რამდენიმე ხანში მშენებლობა ისევ განახლდა. თვითონ თარგამაძე კი არ გამოჩენილა. ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ თუ მშენებლობა არ გაჩერდება, უფრო ფართომასშტაბიან აქციებს გამართავენ.

ხატია მუსერიძე

◉ „ბარომეტრი-2009"

# ქვეყანაში დემოკრატიის პრაქტიკის დეფიციტია

**აღიარებს თუ არა საქართველოს მოსახლეობა დემოკრატიულ ღირებულებებს, რამდენად დიდია სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ ნდობის ფაქტორი, ყველაზე მეტად ვის ენდობა ხალხი და როგორ ხედავენ კონფლიქტის მოგვარების გზებს?..**

სწორედ ამასთან დაკავშირებით გუშინ, სასტუმრო „თბილისი-მარიოტში" საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა, საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა „ბარომეტრი 2009"-ის პრეზენტაცია გამართა.

გამოკითხვა განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით. იგი მიზნად ისახავდა მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენას სამოქალაქო აქტივობის, დემოკრატიისა და ლიბერალური ღირებულებების, ადამიანის უფლებათა დაცვის, მასმედიის თავისუფლების მიმართ.

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა მსგავსი გამოკითხვები 2002, 2003, 2006, 2007 და 2008 წლებში ჩაატარა, ბოლო გამოკითხვამ კი — 2009 წლის 30 თებერვლიდან 14 დეკემბრამდე საქართველოს ყველა რეგიონი, აჭარა და თბილისი მოიცვა. გამოკითხვაში 1,100 რესპონდენტი მონაწილეობდა.

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა ნანა სუმბაძემ განაცხადა, რომ გამოკითხვის მონაცემების ძირითადი შედეგები ცხადყოფს ქვეყანაში დემოკრატიის პრაქტიკის დეფიციტს, სამოქალაქო საზოგადოების ხილვადობის სიმცირეს და მოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობის დაბალ დონეს. მოსახლეობა აღიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს, მაგრამ ნაკლებად ხედავს ქვეყანაში მათი რეალიზაციის შესაძლებლობებს. უქლურობის განცდა და ინდიფერენტული დამოკიდებულება ფართოდ არის გავრცელებული. მცირეა იმ ადამიანების წილი, ვისაც მიაჩნია, რომ აქვს ზეგავლენა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ უმრავლესობა შეუპყრია ნიჰილიზმს პოლიტიკურ ძალთა მიმართ. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნდობას ფაქტობრივად ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ იმსახურებს. დიდია უნდობლობა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. ხალხი ყველაზე მეტად ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ენდობა.

კონფლქტის მოგვარების ეფექტიან გზას რესპონდენტების უმრავლესობას ოსებთან, აფხაზებთან და რუსებთან პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოება მიაჩნიათ. რუსეთსა და აშშ-ზე ორიენტაციას შორის მოსახლეობა უპირატესობას ამერიკაზე ორიენტაციას ანიჭებს. აშშ-ს მხარდაჭერა უფრო მეტად აღიქმება საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით, ვიდრე საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დახმარება.

სუმბაძის განცხადებით კვლევამ წარმოაჩინა ქვეყანაში ზოგადი დემოკრატიის პრაქტიკის დეფიციტი, სამოქალაქო საზოგადოების ხილვადობის სიმცირე და მოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობის დაბალი დონე.

ეკა მაშიანოვა

◎ რაღაა იგი სიმართლე!..



# მაინც ვინ და როგორ უნდა „გააიმასქნან“ პირდაპირ ეთერში სიტყვიერად თუ რეალურად, რომ...



## ანუ ის, რაც, „იმისგან“ განსხვავებით, სანტიმეტრით კი არა, ზნეობრივი კატეგორიებით იზომება და ლამის ყოველივე ქართულისგან თავისუფალ „თავისუფლების ინსტიტუტის“ „იდეალთა“ მიმდევარ ბევრ რეიტინგოსანს, სამწუხაროდ, არა აქვს

**„საბერძნეთში ტელეკომპანია 200 ათასი ევროთი დააჯარიმეს, რადგან გადაცემა „სიმართლის დროში“ დედამთილს ქალიშვილისა და სიძის თანდასწრებით დაუსვეს შეკითხვა, გსურდათ თუ არა, უფრო მდიდარი სიძე გყოლოდათო, ხოლო შეკითხვისთვის, — წოლილხართ თუ არა ქალთან და კაცთან ერთდროულადო, — საერთოდ დახურეს გადაცემა. საქართველოში მსგავსი შეკითხვები ჩვეულებრივი გახდა და საზოგადოება უკვე ეგუება ფაქტობრივად გარყვნილების პროპაგანდას“.**

ეს ამონარიდი პროფესორ გიორგი ყიფიანის წერილიდანაა, რომელიც „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა, მკითხველისთვის მისი გაცნობა კი ტელეკომპანია „იმედის“ **(მავანთა უმწიფარ თავ-გონებაში გააზრებულ-მოფიქრებული და ხალხისთვის თავზარდამცემი 13 მარტის „იმიტაციის“ გამო სავსებით სამართლიანად ტელეკომპანია „ელდა“ რომ შეარქვეს)** ბოლო „სიმართლის დრომ“ გადამაწყვეტინა, რომელშიც სკანდალურად ცნობილი ჯეობარელი მულატკა ჰყავდათ მოწვეული.

ეს უკანასკნელი, როგორც რესპონდენტი, ამჟამად სულაც არ მაინტერესებს და ვეცდები, მასზე პიროვნულად არც ვილაპარაკო. მით უფრო, რომ იგი, მისივე განცხადებით, თურმე სახელის გამოცვლას და, რაც მთავარია, ცხოვრების წესის კარდინალურად შეცვლასაც აპირებს — ჩემი საყვარელი მამაკაცის გარდა არავინ მაინტერესებს, ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი შვილი მე დამემსგავსოს, და არც დამემსგავსება, რადგან სულ სხვანაირად გავზრდიო და ა. შ.

მოკლედ, უკვე „ის თამრო“ არა ვარო, რა!

რახან ასეა, როგორც იტყვიან, ღმერთმაც ხელი მოუმართოს.

ჩემდათავად, გულწრფელად ვუსურვებ დასახული მიზნის მიღწევას და შენდობასაც ვთხოვ, თუ ამ წერილში რამდენიმეჯერ მაინც მომიწევს მისი სახელის ხსენება.

დიახ, მხოლოდ ხსენება, რადგან მულატკა არ მაინტერესებს, რამეთუ ამჯერად საქმე მასთან კი არა, **„სიმართლის დროის“ თუ სხვა ანალოგიური გადაცემების ავტორ-ხელმძღვანელებთან, რესპონდენტთა შემრჩევებსა და მათთვის დასასმელი კითხვების შემდგენლებთან მაქვს.**

ამდენად, პატივცემულო მკითხველო, იქნებ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ქართულ „სიმართლის დროში“ მულატკასთვის დასმული რამდენიმე კითხვა და შევადაროთ ისინი ბერძნულ ანალოგიურ ტელეგადაცემაში რესპონდენტისთვის დასმულ იმ კითხვებს, რომელთა გამოც იქაური ტელეკომპანია თურმე ჯერ დაუჯარიმებიათ, მერე კი გადაცემაც დაუხურავთ.

და რაკი ზემოთ მხოლოდ ორი „ბერძნული“ კითხვა ვახსენეთ, „ქართულიც“ ორი „დავუპირისპიროთ“:

**თქვენი მეგობრების მშობელთა მიმართ ლტოლვა გაგჩენიათ** (რაკი ეს კითხვა მულატკას მიერ ცხოვრების წესის რადიკალურად გარდაქმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდელ პერიოდს ეხება, იოლი მისახვედრია, „რანაირ“ ლტოლვაზეც არის ლაპარაკი!ქ?

**ცნობილ ადამიანებთან ჯგუფური სექსი გქონიათ** (კიდევ კარგი, წამყვანი თავისებურად კვლავ არ დაინტერესდა იმით, ამ ორგიის რომელიმე მონაწილისთვის „ის ორგანო“ სანტიმეტრით ხომ არ გაგიზომავსო!ქ?

**როგორია?**

**არა, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, „ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა“ არ იყოს, მართლაც ხომ მაგარია?**

**ხომ გადავუჯოკრეთ „უფანტაზიო“ ბერძნებს? ამ „ჩვენებური“ ორი კითხვიდან ნებისმიერი ორას კი არა, მინიმუმ ორჯერ ორას ათას ევროდ მაინც ხომ არის შესაფასებელი?**

მაგრამ ვინ არის შემფასებელი?

**სამაგიეროდ დამფასებელი, თანაც გავლენიანი, ჩვენი ხელისუფლების სახით,** ნაღდად ჰყავთ თავიანთი რეიტინგის ნებისმიერი გზითა და ხერხით ამაღლების მოსურნე ჩვენს ტელეკომპანიებს.

ვინმემ რომ ეს ცილისწამებად არ ჩამითვალოს, რამდენიმე კონკრეტულ ფაქტსაც მოგახსენებთ.

თუმცა ჯერ საკუთარი რეიტინგის გაზრდის მოსურნეებზე ვთქვათ.

როდესაც ჯეობარში მონაწილეობის მსურველთა შესარჩევ კასტინგზე მივდიოდი, უკვე ვიცოდი, რომ აყვანილი ვიყავიო, — თქვა „სიმართლის დროში“ მულატკამ.

**რატომ ასე, „უკონკურსოდ“?**

იმიტომ, რომ, **ჯერ ერთი,** რომელიღაც რუსთაველ დიდმოხელეს უნახავს ნასვამი მულატკა ბარში და თავისი სითამამით მოსწონებია.

და, რაც მთავარია, აქედან გამომდინარე, **მეორეც:** იმიტომ, რომ სხვას ასე იოლად ვერ დაიყოლიებდნენ პირდაპირ ეთერში იმის გაკეთებაზე, რაც მულატკამ იკისრა — **ღია სექსზე,** ოღონდ ერთი კია — ზეწრით „შემოსილზე“.

ვინც იმ „სიმართლის დროს“ უყურა, ეხსომება წამყვანის შეკითხვა, **შენი და დათოს სექსი პირდაპირ ეთერში გადაცემის რეიტინგის გაზრდის მიზნით იყო შეკვეთილიო?**

— კიო, — მულატკამ.

**ბრავო, რუსთავორელებო და მისნაირების მხარდამჭერო ხელისუფლებავ!!!**

არ მითხრათ ახლა, ხელისუფლება რა შუაშიაო!

**შუაში კი არა, თავშია,** რადგან, გეხსომებათ, „ვარდოსნებმა“, თითქმის გამარჯვებისთანავე, როგორ **ჩამოაწერეს „რუსთავი-2“-ს ცხრამილიონიანი დავალიანება, რომლის ნახევარი ბიუჯეტისა იყო.**

იმიტომ, რომ იგი „უკრავდა“ იმას და იმგვარად, რასაც და როგორადაც ხელისუფლება უკვეთავდა.

ფულს კი, მოგეხსენებათ, ოდითგანვე მუსიკის შემკვეთი იხდიდა.

**ხოლო რაკი „მუსიკოსები“ ახლაც აქტიურობენ და მზად არიან, მორჩილად შეასრულონ „შეკვეთები“, ფული არც აწი დაიგვიანებს:** ახლახან ხომ ითქვა, ვგონებ, გადაწყდა კიდეც, რომ პრეზიდენტის ინიციატივით ტელევიზიებს 36-მილიონიანი დავალიანება ჩამოაწერონ?

უწინარესად, ცხადია, სამივე „რუსთავი-2“-ს („რუსთავი-2“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“ქ და, იქნებ, აჭარის ტელევიზიასაც, თორემ, ვთქვათ, **„მაესტროსა“ და „კავკასიას“ დავალიანებას ჩამოაწერენ კი არა, დავალიანების დაგროვებასაც არ აცლიან, ისე შეუჩერებენ ან, სულაც, ჩამოართმევენ ლიცენზიას ბიუჯეტის დაზარალებისთვის!**

ჰოდა, სწორედ ამდაგვარი ფინანსურ-მორალური „ინექციებით“ ზურგგამაგრებული „იმედიც“ (უკაცრავად, „ელდა“ უნდა მეთქვაქ ლამის „რუსთავი-2“-ის პრინციპით არჩევს თუნდაც „სიმართლის დროში“ მისაწვევ ხალხს.

დააკვირდით, რა საინტერესო „კოქტეილია“: ჯერ თურმე ქუთაისის კოლორიტი (ვაი, სავარდო და სამაისო ქუთაისო!ქ **პედერასტი,** მერე ქალთევზასავით კაც-ქალა, ანუ წელს ზევით რომ ქალია და წელს ქვევით — კაცი, ისეთი **ტრანსექსუალი** ბესო-კესო, კიდევ უფრო მერე — ხალხისთვის ტელევიზიით სექსის თეორიის (ვითომ მარტო თეორიის?ქ მასწავლებელი **შორენა ბეგაშვილი,** ხოლო სულ ახლახან — ტელევიზიითვე **ამ თეორიის პრაქტიკულად ხორცშემსხმელი** (თეორია უპრაქტიკოდ ხომ მკვდარია!ქ **მულატკა!**

თან როგორი სისტემურობითა და საოცარი სიბეჯითით კეთდება ეს ყველაფერი! **ზუსტად ისეთი გულმოდგინებით, როგორითაც სიპ ქვას ხვრეტს გამუდმებით ერთ წერტილში მოწკაპუნე წყლის წვეთი!!**

ამიტომაც არის შედეგიც მათთვის სასურველი, რადგან, როგორც პროფესორი გიორგი ყიფიანი წერს, **„საზოგადოება უკვე ეგუება ფაქტობრივად გარყვნილების პროპაგანდას“.**

სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ **ბრავო, „მუსიკოსებსაც“ და მათთვის ამ „მუსიკის“ შემკვეთებსაც** — სულზე უტკბესი „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფესვებიდან ხელისუფლებაში აღმოცენებულთ!

თუმცა ერთი რამ მაინც მინდა ვკითხო მათ:

**დავიჯერო, მართლაც მოგწონთ „სიმართლის დროში“ მიწვეული ხალხის მსგავსი ადამიანები და, რაკი არავისგან გესწავლებათ, რაოდენ დიდია ტელევიზიის როლი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში, გულწრფელად თვლით, რომ სწორედ ამგვარი გადაცემები და პერსონაჟებია საჭირო ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის?**

**თუ მართლა ასე მიგაჩნიათ, ალბათ, წყევლასავით კი გამომივა ეს სურვილ-დალოცვა, მაგრამ ღმერთმა არ მოგაკლოთ თქვენს უახლოეს გარემოცვაში (ნათესაობა მაინც არ მემეტება აქ მოსახსენიებლად!) მაგნაირი ადამიანები!**

ოღონდ ჩვენ თავი დაგვანებეთ!

მეტს არაფერს ვიტყვი, რადგან წყლის ნაყვასავით იქნება ყველაფერი, რამეთუ, ის, რაზეც მე ვლაპარაკობ, „სიმართლის დროის“ ერთ-ერთ გადაცემაში დასმულ კითხვაში „გაელვებულ“ მამაკაცის ორგანოსგან განსხვავებით, სანტიმეტრით კი არა, ზნეობრივი კატეგორიებით იზომება, რომელი კატეგორიებიც...

**თუმცა, კარგი, ვთქვათ, ასეთი კატეგორიები ბევრ რეიტინგოსანს არა აქვს, მაგრამ ქვეყანაში ხომ უნდა არსებობდეს ასეთი რამეების გამკონტროლებელ-ზედამხედველი ორგანო (ცხადია, არა ის, რომლითაც „სიმართლის დროში“ დაინტერესდნენ)? თუნდაც კავშირგაბმულობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია?**

ჰოდა, სწორედ მის საყურადღებოდ მინდა ვიკითხო: **მაინც ვინ და როგორ უნდა „გააიმასქნან“ პირდაპირ ეთერში სიტყვიერად თუ რეალურად, რომ თქვენ ან სხვამ ასეთ უზნეობაზე სათანადო რეაგირება მოახდინოთ?** „როგორში“, ცხადია, ერთადერთილა იგულისხმება — მულატკასავით ზეწარქვეშ თუ ღია ეთერში „მთლად ღიად?“

**რაო? კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კი არა, ხელისუფლების მიერ სარეგულირებელი კავშირგაბმულობის არაეროვნული კომისიაო (მითხრეს, ასე შეურქმევიაო მისთვის ხალხს)!?**

მაშინ საერთოდ არ ყოფილა ჩვენი საშველი!

**თუმცა რაღაც იმედი მაინც კიაფობს: ალბათ, რამე გვეშველება, თუ ისინი, ვისი გამოისობითაც ამ დღეში ვართ, პრაქტიკულად თუ არ გააკეთებენ, მულატკასავით სახალხოდ მაინც იტყვიან, უკვე „ის თამრო“ არა ვართ, გამოსწორების გზაზე დადგომას და ცხოვრების წესის კარდინალურად შეცვლას ვაპირებთო!**

**ძალიან მეეჭვება, ასე მოხდეს, მაგრამ იმედი ხომ მაინც ბოლოს კვდება?**

**მანამდე, ამ „ბოლოს“ დადგომამდე, კი ერთი რამ მაინტერესებს: ვის რაში სჭირდება ასეთი „სიმართლის დრო?“ რაღაა იგი „სიმართლე“, რომელსაც ამდენი უზნეობა მოაქვს?!**

რუსლან რუსია

◎ ინფორმაცია

### ბაბუშერას აეროპორტს საერთაშორისო კოდს არ მიანიჭებენ

**სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია არ ადასტურებს სეპარატისტულ აფხაზეთში ბაბუშერას აეროპორტისათვის საერთაშორისო კოდის მინიჭების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. ამის შესახებ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა და საბჭოს პრეზიდენტმა განაცხადეს.**

**რეიმონდ ბენჟამინთან და რობერტ გონსალესთან ოფიციალური შეხვედრა აშშ-ში საქართველოს ელჩმა გამართა.**

**ბათუ ქუთელიამ აფხაზეთში ამ მხრივ არსებული ვითარება გააცნო. ისაუბრეს რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ფრენებსა და ამით ჩიკაგოს საერთაშორისო კონვენციის დარღვევის ფაქტზეც.**

**შეხვედრაზე საერთაშორისო ნორმების დარღვევისა და მსგავსი ფრენების თავიდან აცილების სამოქალაქო გეგმაც განიხილეს.**

**საქართველოს წარმომადგენელმა მოითხოვა წევრი ქვეყნებისაგან არ დაუშვას მსგავსი ქმედება მომავალში და შეიკავონ ბაბუშერას აეროპორტის მიმართულებით ფრენებისაგან თავი.**

### აფხაზებმა ფართომასშტაბიანი წვრთნები დაიწყეს

**საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ოკუპირებულ სასაზღვრო ზოლზე ფართომასშტაბიანი წვრთნები დაიწყო. წვრთნებში ჩართულია როგორც მძიმე ტექნიკა ისე ავიაცია და სამხედრო ვერტმფრენები.**

**წვრთნების ძირითადი მიზანი ადმინისტრაციულ საზღვარზე გადამსვლელთა მოძიება და ასევე სასაზღვრო ზოლის ჩაკეტვა და მტრის მოგერიებაა.**

**აფხაზი სეპარატისტების განმარტებით, ეს არის მოსახლეობის გაფრთხილება რათა შეწყდეს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმოსვლა.**

**წვრთნებში ასევე ჩართული იქნებიან ქვეითი მესაზღვრეები.**

ჯი-ეიჩ-ენი



◉ მოყვარეს პირში უძრახე...

# რაიმე წარმატებებზე საუბარი არ გეუხერხულებათ?

## ღია წერილი ზურაბ ნოღაიდელს მისი წარსული საქმიანობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტის შეფასების თანხლებით

**გულახდილად გეტყვით, არც კი ვიცი, როგორ და რა ტერმინებით გესაუბროთ, რადგან თქვენთან, პროფესიით ფიზიკოსთან, რომელმაც ამ საქმისათვის ვერ მოიცალეთ, მე, ეკონომისტი კაცი, ფიზიკოსის ენაზე საუბარს ვერ შევძლებ. ჩემი ცოდნისა და გამოცდილების კაცი ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსის შემფასებლად ვერ გამოვდგები, რადგან, დათასი არ იყოს, „არ არის ეს ჩემი საქმე“.**

რაც შეეხება თქვენთან ეკონომიკური ტერმინებითა და დეფინიციებით საუბარს, ესეც გამიჭირდება, რადგან, სამწუხაროდ თქვენ ამ დარგში, დღესაც არა გაქვთ სათანადო ცოდნა-განათლება.

როცა ვამბობ „დღესაცო“ მახსენდება ჩვენი პირველი პირისპირ შეხვედრა თქვენს კაბინეტში, როცა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და უმთავრესი ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურაში გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი გეკავათ. ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებზე საუბრის შინაარსი ნაწილობრივ მაინც რომ გაგეგოთ, რაღაც-რაღაც ახალ ტერმინებს ვიგონებდი. ჩვენი საუბარი უშედეგოდ რომ დამთავრდა, ეს გასაკვირი სულაც არ იყო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გადავწყვიტე, ამ წერილით პოპულარულ, ანუ თქვენთვის გასაგებ ენაზე, გაგაცნოთ მხოლოდ ზოგიერთი ამონარიდი თქვენი წარსული საქმიანობის შეფასების ჩვენეული ვრცელი „საბრალდებო დასკვნიდან“.

— ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ვაცხადებ, რომ თქვენ პირადად ბრძანდებით ქვეყანაში მცირე მეწარმეობის მტერი. გახსოვთ, ალბათ, ტელეკომპანია „იმედის“ არხზე ბატონ ჯანრი კაშიას საავტორო პროგრამაში პირდაპირი გადაცემა რომ მოეწყო მცირე მეწარმეობის პრობლემებზე, ჩვენ, მცირე მეწარმეობის ხელშემწყობმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ვისარგებლეთ რა თქვენი იქ ყოფნით, მთელი ძალებით შევუტიეთ ხელისუფლებას იმ დანაშაულებრივი ქმედებების გამო, რაც მთავრობას ჰქონდა ჩადენილი მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ. ამ გადაცემის შემდეგ, მოკლე ხანში, ხსენებული პროგრამა დაიხურა და ჩვენც დაგვიწყეთ დევნა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ერთმანეთის მიყოლებით ჯერ გააუქმეთ კანონი „მცირე მეწარმეობის შესახებ“, შემდეგ კი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტი დახურეთ. სამინისტროს დებულებიდან და საგადასახადო კოდექსიდან დეფინიცია „მცირე მეწარმეობა“ საერთოდ ამოართქლეთ, ბოლოს კი მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ლიკვიდაცია მოახდინეთ.

შედეგად ის მივიღეთ, რომ **დღეს ქვეყნის მცირე მეწარმეობის საკანონმდებლო ბაზაში სრული განუკითხაობაა. სახელმწიფო მართვის არც ერთ რგოლში ერთი საშტატო ერთეულიც კი აღარ არსებობს, ოფიციალურად რომ ევალებოდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის პრობლემებზე ფიქრი და ზრუნვა, მაშინ როცა მსოფლიოში ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სეგმენტის საქმიანობას არ ხელმძღვანელობდეს სპეციალური სამინისტრო, კომიტეტი ან დეპარტამენტი მაინც.**

**პრობლემისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგად, დღეს საქართველოში ყოველ ათას მოსახლეზე 7 მცირე საწარმო მოდის, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში — 40; მცირე საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში საქართველოში 10 პროცენტს არ აღემატება, ევროკავშირის ქვეყნებში კი მისი დონე 55 პროცენტს აჭარბებს. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე განვითარებულ ქვეყნებში 13 ათასი დოლარია, ხოლო საქართველოში 200-300 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ისმება კითხვა: ასეთ პირობებში რაიმე წარმატებებზე საუბარი უხერხული ხომ არ არის?**

—საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტების ერთ-ერთ გაფართოებულ სხდომაზე ჩემი სიტყვით გამოსვლის შემდეგ, თქვენ, მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა, ხმამაღლა, კატეგორიული ტონით განაცხადეთ: „ბატონო ანზორ, ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ, სანამ მე ფინანსთა მინისტრი ვარ, ამ თქვენი ფიქსირებული გადასახადის შემოღებას ვერ ეღირსებით“. დღეს კი რა ხდება? ოპოზიციაში თქვენი გადასვლის შემდეგ „ეს ჩემი ფიქსირებული გადასახადი“ პიარისთვის დაგჭირდათ თუ, ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდით ჩემი პროექტის რეალობაში?

თქვენ ამტკიცებთ, რომ საკვანძო პოსტებზე თქვენი ყოფნის პერიოდში ქვეყანამ არნახულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ფაქტები სულ სხვას ლაღადებენ. სინამდვილეში, **სამწუხაროდ, ბევრი მაჩვენებლით საქართველო ისეთი ქვეყნების ჩამონათვალს ლიდერობს, როგორებიც არიან ზიმბაბვე, სუდანი, კონგო, ავღანეთი, სომალი და სხვ. ქვეყანაში უმუშევრობა და სიღატაკე თვიდან თვემდე იზრდება, მატულობს ადრე მოქმედი და ამჟამად დახურული ობიექტების რაოდენობა, მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი დაუმუშავებელია, ხოლო სოფლები — დაცარიელებული.** ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ სახელისუფლებო ორგანოების უმაღლესი რანგის თანამდებობაზე ხანგრძლივად ყოფნის პერიოდში თქვენ ვერ ან არ შეიმუშავეთ ქვეყნის გადარჩენის ეკონომიკური პროგრამა.

— კატასტროფული მდგომარეობა ჩამოყალიბდა უშუალოდ თქვენი მოქმედებისა და გავლენის ყველა სფეროში. **სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალი 2003 წლის 1775 მლნ აშშ დოლარიდან, 2009 წლისთვის 2925 მლნ აშშ დოლარამდე ანუ 64,8 პროცენტით გაიზარდა** და, რაც მთავარია, აქედან ერთი ლარიც არ მოხმარდა ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დაუფლებას, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების დონეზე კადრების მომზადებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ხალხის სტაბილურ დასაქმებას.

— სახელმწიფო სტრუქტურებში თქვენი მოღვაწეობის ბოლო, ანუ **2007 წელს, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა 5665 მლნ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით თითქმის ორი მილიარდი დოლარით გაიზარდა.**



— საქართველოს პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე, საგარეო ვალის მოცულობით, პირველი ადგილი უკავია.

— უკიდურესად არასახარბიელო მდგომარეობა ჩამოყალიბდა მთლიანი შიდა პროდუქტისა (როგორც უცვლელ, ისე საბაზისო ფასებშიძ და საგარეო ვალის ზრდის ტემპების შეფარდების თვალსაზრისით. კერძოდ, **2003 წელს, საგარეო ვალის შეფარდებამ მთლიან შიდა პროდუქტთან 44,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2007 წელს — 75,1 პროცენტი.**

— თქვენი მოღვაწეობის პერიოდში უგულებელყოფილი იყო პრივატიზების პროცესის ჩვენეული ხედვა, მსოფლიო გამოცდილება და საქართველოში ყველაფერი ხელაღებით გაიყიდა. ჩვენი გათვლებით, პრივატიზების პროცესიდან ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს უნდა შეხვედროდა 12000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება, ნაცვლად მიღებული ერთი ვაუჩერისა, რომლის ღირებულება არ აღემატებოდა 30 აშშ დოლარს. ამით ხელისუფლებამ, მოსახლეობას შეგნებულად ჩამოართვა უფლება, თავისი კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ეროვნული კაპიტალბრუნვის სივრცეში, რაც საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტი იქნებოდა.

— თქვენი არასწორი და გაუმართლებელი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით სახელმწიფოს არ დაუტოვეთ საქმიანობის პრიორიტეტული სფეროები და ჩამოართვით უფლება, არეგულიროს და მართოს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები.

— მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციების არასწორი, გაუმართლებელი პოლიტიკისადმი თქვენი არაადეკვატური დამოკიდებულების გამო, სერიოზული ზიანი მიადგა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. კერძოდ, **თქვენ მხარს უჭერდით მათ რეკომენდაციას, თუ ქვეყანას ამა თუ იმ საქონლის წარმოება იმაზე ძვირი უჯდება, ვიდრე იგი მსოფლიო ბაზარზე ღირს, ასეთი საქონელი მან არ უნდა აწარმოოსო. ესე იგი გამართლებულად მიგაჩნდათ საქართველოში მარცვლეული კულტურებისა და ქართული მევენახეობის უნიკალური ჯიშების ამოძირკვა.** საქართველოს ეკონომიკას მწარმოებლის ანუ დოვლათის შემქმნელის ნაცვლად, გეზი უნდა აეღო მომხმარებელი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. ფაქტიურად ასეც მოხდა.

— სპეციალური განხილვის საგანია გახმაურებული თურქული კრედიტის თემა. კერძოდ, უხეშად იყო დარღვეული მისი განაწილების წესი, იგი არ მოხმარდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, არ დამყარდა კონტროლი კრედიტის დაბრუნების მექანიზმის შემუშავებაზე, პრობლემის შესასწავლად შექმნილი სპეციალური საპარლამენტო კომისიის ვრცელი დასკვნა და რეკომენდაციები განხილვის გარეშე აღმოჩნდა პარლამენტის არქივში!

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დღევანდელი თქვენი ამბიციური გეგმების უმეტესობა ჩემთვის გაუგებარია. უფრო მეტიც, ორჯერ ფინანსთა მინისტრად და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთავრობის თავმჯდომარედ მუშაობისას სათანადო ცოდნა, გამოცდილება და თვისებები რომ გქონოდათ, ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე არ მივიდოდა.

დაბოლოს, ერთი შეკითხვაც. მიგაჩნიათ თუ არა კატასტროფად ის, რაც ამ დღეებში ქვეყნის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა, პროფესორმა დავით იაკობიძემ განაცხადა: **„საქართველოს საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე უკვე 20000 აშშ დოლარს აღწევს, ანუ თითოეულ ოჯახს საშუალოდ უკვე 60-80 ათასი აშშ დოლარი ვალი აქვს“.** და თუ მართლაც კატასტროფად მიგაჩნიათ, აცნობიერებთ კი ამაში თქვენს პასუხისმგებლობას?

**ანზორ ბაბუხადია,**
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი,
ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის
თავმჯდომარე

*P. S. ტრადიციას არ დავარღვევ და ამ წერილსაც ჩემებურად დავასრულებ: ბატონო ზურაბ, თუ რომელიმე საკითხში არ მეთანხმებით ან სხვა მოსაზრება გაგაჩნიათ, თანახმა ვარ, შეგხვდეთ თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს და პირისპირ, თუნდაც ჟურნალისტების თანდასწრებით, გავარკვიოთ ჩვენს შორის მტყუან-მართალი.*
*ა. ბ.*

◉ ინფორმაცია

## ევაკუაციას პანიკა მოჰყვა

**გურჯაანის** მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში მოსახლეობის ევაკუაციისას გამოწვეული პანიკის შედეგად, სოფლის მკვიდრი, შუახნის მამაკაცი გულის ინფარქტით თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. პანიკის შედეგად ერთი ადამიანი ზინა აბელაშვილი გარდაიცვალა, კიდევ ერთმა მოქალაქემ ინსულტი მიიღო და ის გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოშია მოთავსებული.



როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან, სოფელ ველისციხეში ამ დრომდე მობილიზებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ათი ბრიგადა, შს სამინისტროს სპეცრაზმი, სამაშველო სამსახური და საპატრულო პოლიცია.

გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე, კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ქადაგიძე გეოლოგებთან ერთად ჭერემში იმყოფებიან.

საქართველოს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის დავალებით, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, საიდანაც მაშველებმა მოსახლეობის ევაკუირება მოახდინეს, სპეციალური დანიშნულების რაზმი განლაგდა.

რაზმის დანიშნულებას მოსახლეობის მიერ მიტოვებული ოჯახების დაცვა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, ასევე საჭიროების შემთხვევაში სამაშველო სამსახურისთვის დახმარების გაწევა წარმოადგენს.

რეგიონის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა ველისციხის მაცხოვრებლებს, გარდა მდინარე ჭერმის პირას მცხოვრები ოჯახებისა, სახლებში დაბრუნებისკენ მოუწოდა. ასობით ადამიანი ამ დრომდე ქუჩაშია. ევაკუირებული მოსახლეობის ნაწილი თავს მეზობელ სოფლებში მცხოვრებ ნათესავებს აფარებს, ნაწილი კი ველისციხის კულტურის სახლში დაბანაკდა.

შეგახსენებთ, რომ წვიმების შედეგად სოფელ ჭერმის თავში მდებარე წყალსაცავში წყლის რაოდენობა გაიზარდა, დამცავი ჯებირი დაზიანდა და შესაძლოა, რომ წყალი გადმოვიდეს და ველისციხეს გადაუაროს. ჭერმის წყალსაცავი 10 ჰა ტერიტორიას მოიცავს და 28 მ სიღრმისაა.

ХО-ЭОВ-ЭБО

# ის, რაც არასოდეს მომხდარა



*ისტორია არ არსებობს უფანტაზიოდ, ისევე, როგორც მხატვრული ნაწარმოები უფაქტებოდ*

*ტოიმბი*

**წელი არ გავა, რომ ალექსანდრე მაკედონელის შესახებ რამდენიმე ახალი, საინტერესო გამოკვლევა არ გამოქვეყნდეს. ასე იყო დღემდე: იბეჭდებოდა ძველი წყაროები (პლუტარქე, არიანე, კურციუს რუფუსი, პომპეუს ტროგუსი), რომელთაც უდიდესი ღირებულება აქვთ, რადგან ალექსანდრეს უშუალო თანამედროვეთა ნაწარმოებმა ჩვენამდე არ მოაღწიეს. რაც შეეხება ახალ ისტორიკოსთა წიგნებს, მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა, ვფიქრობთ, შეუძლებელია, ისე კი რიცხვი გასაოცრად სწრაფად იზრდება.**

რა თქმა უნდა, მაინც შეიძლება რამდენიმე მათგანის გამოყოფა, რომლებსაც ვერც ერთი თაობის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის. ვინ იცის, რამდენი მკითხველი ჰყავდა იოჰან დროიზენის „ალექსანდრე დიდის" ისტორიას", რომელიც პირველად 1833 წელს ბერლინში დაიბეჭდა, თავიდანვე კლასიკურ გამოკვლევად ჩაითვალა, ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა და დღემდე შეუდარებლად არის მიჩნეული. არ შეიძლება არ აღინიშნოს ულრიხ ვილკენის დიდებული „ალექსანდრე დიდი" (ვენა, 1973), ფრიდრიხ შახერმაირის ამავე სახელწოდების წიგნი (ვენა, 1973), გნებავთ, ტარნის განთქმული ნაშრომი (კემბრიჯი, 1948), სხვა უამრავ შესანიშნავ გამოკვლევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

და მაინც, ამ უზარმაზარ „ალექსანდრეადაში" მკვეთრად გამოირჩევა ერთი თავისებური წიგნი. მას ჰქვია „ისტორია, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო" დაიბეჭდა 1984 წელს გიოტინგენში. ავტორი საკმაოდ ცნობილი ისტორიკოსი ალექსანდრ დემანდტი გახლავთ. დემანდტი წერს არა იმაზე, რაც ალექსანდრე მაკედონელმა გააკეთა, არამედ რაც შეეძლო გაეკეთებინა, რომ დასცლოდა.

უნდა ითქვას, რომ ალექსანდრეს მომავალი გეგმების შესახებ ზოგი რამ ცნობილი იყო, მაგალითად ის, რომ იგი კართაგენზე გალაშქრებას აპირებდა. ამ აფრიკულ სახელმწიფოს მაკედონელმა ომი ჯერ კიდევ მაშინ გამოუცხადა, როდესაც 332 წელს ფინიკიაში იმყოფებოდა. აქ მას დიდი თავსატეხი შეუქმნა ფინიკიის ყველაზე ძლიერმა ქალაქ-სახელმწიფომ ტვიროსმა, კართაგენის (ფინიკიურად – კარჰადაშტის, ანუ ახალქალაქის) დამაარსებელმა. მეტროპოლიის წინააღმდეგ ბრძოლა კი მის მიერ დაარსებული ქალაქის (რა ვუყოთ, რომ ამ დროისთვის ძალით კართაგენი ტვიროსს მკვეთრად აღემატებოდა!) წინააღმდეგ ბრძოლასაც ნიშნავდა. აქ ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ კართაგენის დალაშქვრა ხომ ალექსანდრეს არ დასცალდა.

მაშ ასე, ალექსანდრ დემანდტის წიგნი „ისტორია, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო", რომელშიც განთქმული ინგლისელი ისტორიკოსისა და მოაზროვნის არნოლდ ტოიმბის ზოგიერთი საინტერესო ვარაუდიცაა გათვალისწინებული, თავისებური ფანტაზიაა. ისტორიკოსს ფანტაზია ზოგჯერ ხელს უშლის, იშვიათ შემთხვევაში ეხმარება კიდეც. ასე თუ ისე, დემანდტის წიგნმა დიდი ყურადღება მიიპყრო, თუნდაც იმიტომ, რომ ისტორიულ ლიტერატურაში მას ანალოგი არა აქვს.

მაშ ასე, მივყვეთ დემანდტის სქემას და მას ზოგიერთი მნიშვნელოვანი რეალური ფაქტიც დავამატოთ, რომელსაც წიგნში ნავარაუდევ მოვლენებთან მეტ-ნაკლები დამოკიდებულება აქვთ.

იმ წელს, როცა ალექსანდრე გარდაიცვალა (323 წლის ივნისი) მისმა მასწავლებელმა, მოწაფესთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულმა არისტოტელემ ათენი დატოვა. ერთი წლის შემდეგ იგი აღესრულა კიდეც. იმავე 322 წელს დაასრულა სიცოცხლე კიდევ ერთმა ბერძენმა ფილოსოფოსმა დიოგენემ.

ერთი სიტყვით, ისტორიკოსმა დემანდტმა ალექსანდრე მაკედონელს სიცოცხლე „გაუხანგრძლივა". რამდენი წელი დაუმატა? ამის შესახებ ქვემოთ.

როცა 323 წლის ივნისში ალექსანდრე „ავადმყოფობისაგან განიკურნა", ამიერიდან მან დასძლია თავისი ორი დიდი ნაკლი: აღარც ლოთობდა (ეს ხომ ბოლო წლებში ნამდვილ პრობლემად გადაექცა, რამაც გამოუსწორებელ შეცდომამდე მიიყვანა – გავიხსენოთ თუნდაც კლიტოს შავის მოკვლა) და აღარც ზედმეტ თვითდაჯერებულობას იჩენდა, მეტი ყურადღებით უსმენდა საკუთარ მრჩევლებს. სანამ იგი ავად იყო, სახელმწიფოს სამი უაღრესად დაახლოებული პირი მართავდა: მეფის ნათესავი, ფრიად გამოცდილი პოლიტიკოსი პერდიკა, ევმენი, ერთადერთი ბერძენი დიადოხოსთაგან და ეგვიპტის მომავალი მონარქი პტოლემაიოსი, სწორედ ის, ვინც ალექსანდრეს ომების ვრცელი ისტორია დაწერა, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია.

დაებადა თუ არა ვაჟი – მეფე ალექსანდრე IV (სინამდვილეში კი ვაჟი ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ დაიბადა), დიდმა დამპყრობელმა 323 წლის შემოდგომაზე მეტად მნიშვნელოვანი რამ გააკეთა. მან თავისი ფლოტით არაბეთის ნახევარკუნძულს შემოუარა და სუეცში გაჩერდა. ბრძანება გასცა დაესრულებინათ არხის გაყვანა, რომელიც წითელ ზღვას მდინარე ნილოსთან დააკავშირებდა. ამ მეტად მნიშვნელოვანი არხის გაყვანა, ჯერ კიდევ VI საუკუნეში ეგვიპტის ფარაონმა ნეხომ დაიწყო, შემდეგ V საუკუნეში სპარსეთის მეფე დარიოს I-მა გააგრძელა, თუმცა სამუშაო არ დასრულებულა.

ალექსანდრეს ბევრი ხომალდი და ზღვაოსანი სჭირდებოდა. ამ მიზნით, მან შემოირიგა ფინიკიელები (გავიხსენოთ, ბერძნების მოსისხლე მტრები), სპარსეთის ყურის სანაპირო სწორედ ფინიკიიდან წამოყვანილი კოლონისტებით დაასახლა. ახლა ეს განთქმული მეზღვაურები და ვაჭრები უკვე ქუვეითში, ბაჰრეინსა და ადენში ცხოვრობდნენ, დიდი მონარქის ერთგულები და საიმედო დასაყრდენები იყვნენ. ალექსანდრემ აღადგინა ტვიროსი, რომელიც 323 წელს ურჩობისთვის სასტიკად დაისაჯა. მაშინ განადგურდა ამ დიდი ქალაქის ორი ნაწილი: როგორც კუნძულოვანი, ისე სახმელეთო. ახლა ყველაფერი აღდგა და ამ უმნიშვნელოვანესმა ნავსადგურმა თავისი ფუნქცია აღადგინა. სხვა სემიტური ხალხები: სამარიაში მცხოვრები ებრაელები (რომლებიც ალექსანდრეს მიმართ ძალიან კარგად იყვნენ განწყობილნი, ახალდაბადებულებს ალექსანდრეს არქმევდნენ), მოაბიტელები და არამეელები ცდილობდნენ კარგი მეზღვაურები გამხდარიყვნენ.

ალექსანდრეს დედაქალაქი ბაბილონიდან ეგვიპტის ალექსანდრიაში გადააქვს. ეგვიპტის – ვამბობთ იმიტომ, რომ ამ სახელს ძალიან ბევრი ქალაქი ატარებდა, შეიძლება ასამდეც კი (სხვა საკითხია, რომ ყველა მათგანს შემდეგ სახელი გადაარქვეს, დარჩა მხოლოდ ეგვიპტის ალექსანდრია, ერთ-ერთი იმ ორ ანტიკურ ქალაქთაგან, სადაც მილიონზე მეტი მცხოვრები იყო, რაც დღეისათვის ძნელი დასაჯერებელიც კია. მეორე, გასაგებია, იყო რომი.

ალექსანდრია, მაკედონელის ჩანაფიქრით, მსოფლიო იმპერიის დედაქალაქად უნდა გადაქცეულიყო. აქვე უნდა დაემარხათ თვით მეფეც.

321 წელს ალექსანდრე დიდი ფლოტით მაკედონიაში ჩავიდა, სადაც 13 წელი არა ყოფილა. მას სხვადასხვა ტომები უტევდნენ როგორც თრაკიიდან, ისე ჩრდ. ანატოლიიდან. ახლა ამ ტომებს თავზარი დაეცათ – მაკედონიას ვიღა შეაწუხებდა საზღვრის მტკიცედ უზრუნველყოფის შემდეგ ალექსანდრემ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც გადაწყვიტა. საქმე ის არის, რომ თავისი უმძიმესი ხასიათითა და დიდი პატივმოყვარეობით ცნობილი ოლიმპიადა, მეფის დედა, მთელი ამ წლების მანძილზე მაკედონიის დედაქალაქ პელაში ცხოვრობდა და ალექსანდრეს მეფისნაცვალ ანტიპატრთან, ისევე, როგორც სხვა დიდკაცებთან, ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. ეს მუდმივი შეხლა-შემოხლა მაკედონიაში ვითარებას ართულებდა, არასასურველ ხასიათს აძლევდა. თუ აქამდე მეფე დედამისისადმი მხოლოდ საყვედურებით იფარგლებოდა, ახლა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა – ოლიმპიადა საპატიო გადასახლებაში გააგზავნა ინდოეთის ოკეანის უმშვენიერეს, პირდაპირ სამოთხის მსგავს კუნძულ სოკორტაზე. თავისი დაქვრივებული და კლეოპატრა მეფემ ერთ-ერთ ცნობილ სარდალ ლეონატს მიათხოვა. რახან 319 წელს მაკედონიის მეფისნაცვალი ანტიპატრი გარდაიცვალა (ეს, ჯერ კიდევ ფილიპეს დროიდან ცნობილი სარდალი მართლაც ამ წელს მოკვდა), მის ადგილას მეფემ ლეონატი დანიშნა. რაც შეეხება ანტიპატრის შვილს, მეტად პატივმოყვარე და გამომწვევი ხასიათის მქონე კასანდრს, რომელიც მეფეს ხანდახან ეურჩებოდა კიდეც, ალექსანდრემ იგი დაინდო, არ მოისურვა მისი დასჯა. კასანდრი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული საკუთარ უსაფრთხოებაში, ამიტომ კართაგენში გაიქცა, რითაც ალექსანდრეს ამ მძლავრ სახელმწიფოსთან ომის საბაბი მისცა.



ახლა კი ჩვენი ჩართვა დემანდტის ფანტასტიკურ თხრობაში. დიოდორე სიცილიელი მართლაც წერდა ალექსანდრეს გეგმების შესახებ დასავლეთის მიმართულებით ლაშქრობაში, თუმცა ეს ბევრ ისტორიკოსს, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მიაჩნია. რეალურად კი ის მოხდა, რომ 319 წელს დიადოხოსების ბრძოლას შეეწირა ალექსანდრეს დედა ოლიმპიადა, მაგრამ მანამდე სწორედ მისი განკარგულებით მოსპეს სამეფოს ოჯახის არაერთი წევრი. რაც შეეხება ალექსანდრეს ცოლს, დედოფალ როქსანას და მის ვაჟს ალექსანდრე IV-ეს, ისინი გაცილებით უფრო გვიან, 310 წელს მოკლეს, ამასთან ალექსანდრე IV სულ 12 წლისა იყო.

ალექსანდრეს დავალებით პტოლემაიოსი სიცილიაში გაემგზავრა. მეფის არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. ამ ცნობილ სარდალსა და დიპლომატს კართაგენთან დიდი ომი უნდა მოემზადებინა. საჭირო იყო ამ უმნიშვნელოვანეს კუნძულზე მცხოვრები ბერძნების ორგანიზაცია და გაერთიანება ადგილობრივი ტომების სიკელიოტების წინააღმდეგ, რომლებიც ძირითადად კართაგენელების მომხრენი იყვნენ. ამასთან კართაგენს თვით ჰქონდა რამდენიმე საყრდენი პუნქტი კუნძულის დასავლეთ სანაპიროზე, ხალხმრავალი კოლონიები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ქალაქი ლილიბეუმი. პტოლემაიოსმა გამართა ბერძნული ქალაქების კონგრესი სირაკუზში, რომელიც სიცილიაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. მაშინაც კი, როდესაც კართაგენელები დროდადრო ახერხებდნენ თითქმის მთელ კუნძულზე თავისი გავლენის დამყარებას, სირაკუზი მათთვის გადაულახავ ზღუდედ რჩებოდა.

ახლა ალექსანდრე კართაგენის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ქვეყნის ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი იყო. უკვე შეიძლებოდა ბრძოლის ასპარეზის აფრიკაში გადატანა, რაც 319 წელს გაკეთდა კიდეც. ვთქვათ ისიც, რომ კართაგენს საკუთარი მოქალაქეებისაგან შემდგარი ჯარი არა ჰყავდა, ყოველთვის ემყარებოდა მოქირავნეებს, ძირითადად აფრიკელებს, და, სპარსელების მსგავსად, ბერძნებსაც. ბერძნებს ასეთი სამსახური ეკრძალებოდათ, მაგრამ მაინც საკმაო რაოდენობით მიდიოდნენ ჯერ აქემენიანთა სპარსეთში, აგრეთვე სხვა ქვეყნებშიც. სამშობლოში ისინი ავტომატურად ცხადდებოდნენ მოღალატეებად, უკან დაბრუნების შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აპატიმრებდნენ (გავიხსენოთ, რომ სპარსელებთან ომის დაწყების შემდეგ ალექსანდრესთან მიიყვანეს დატყვევებული ბერძნების დიდი ჯგუფი, რომელიც მეფემ დაუყოვნებლივ მონებად აქცია და ქვის მთლელებად გააგზავნა მაკედონიაში. ერთადერთი გამონაკლისი გაკეთდა იმ კაცისთვის, რომელმაც განაცხადა, რომ ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა, და, ამდენად, ყველა შემთხვევაში, თვით ბერძნულ-მაკედონიური ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი, ხელშეუხებელი იყო).

კართაგენის ჯარს არ შეეძლო უძლეველი მაკედონელებისათვის ღირეული წინააღმდეგობის გაწევა. ამიტომ ქალაქი დაეცა. საინტერესოა, რომ კართაგენში მოქმედებდა ე. წ. „მეხუთე კოლონა", რომელსაც ალექსანდრეს მხარეზე გადასული ფინიკიელების სიმპათია ჰქონდა.

მაშ ასე, კართაგენის სახელმწიფო ალექსანდრემ მოსპო (სინამდვილეში, როგორც მკითხველმა კარგად იცის, კართაგენი დაამხო რომმა 146 წელს ძვ. წ. სამი სისხლისმღვრელი პუნიკური ომის შემდეგ). დაარსდა უტიკური (ფინიკიელთა მიერ კართაგენის დაარსებამდე რამდენიმე ხნით ადრე ორგანიზებული კოლონიის სახელია. უტიკა ფინიკურ ენაზე ძველ ქალაქს ნიშნავს, კარჰადაშტი, ანუ კართაგენი – ახალ ქალაქს) კავშირი, სადაც ჩრდ. აფრიკის ქალაქები შევიდნენ. ახლა ალექსანდრეს ხელში იყო ხმელთაშუა ზღვის მთელი სამხრეთი სანაპირო ეგვიპტიდან დღევანდელ ქვეყანა მაროკომდე. მაკედონელი დღევანდელ გიბრალტარამდე (მაშინ მას მალკარტის სვეტები ერქვა) მივიდა, სადაც დააარსა ქალაქი ალექსანდრია ესხატა ჰერაკლეა.

რაც შეეხება ატლანტის ოკეანის ევროპული სანაპიროს ავთისებას, ეს მეფემ მასილიოტებს (ბერძნების მიერ დაარსებული ქ. მასილია, დღევანდელი მარსელი). სწორედ ამ ქალაქიდან იყო ჩრდილოეთის ცნობილი მკვლევარი პითეოსი, რომელსაც ალექსანდრე ქ. ჰადესში შეხვდა. ჰადესელ პუნებს (ფინიკიელებს) ბრძანება მიეცათ აფრიკისათვის დასავლეთიდან შემოეარათ. სამასი წლით ადრე ხომ ფინიკიელებმა, ეგვიპტის ფარაონ ნეხოს დავალებით, დაახლოებით იგივე გააკეთეს, ოღონდ აფრიკას აღმოსავლეთის მხრიდან შემოუარეს. მაშინ მათ მოგზაურობა წითელი ზღვის ნაპირებიდან დაიწყეს, საბოლოოდ მალ-



კართის სვეტებთან (გიბრალტარი) აღმოჩნდნენ და შემოვიდნენ ხმელთაშუა ზღვაში.

ჯერჯერობით, ვფიქრობთ, მკითხველი იოლად ერკვევა ტყუილ-მართალში.

რაც შეეხება ალექსანდრეს ურთიერთობას ამ დროისათვის საკმაოდ დაწინაურებულ რომთან, მასთან მეგობრული კავშირი დამყარდა. ჯერ კიდევ 330 წელს ალექსანდრეს ბიძამ (მისი დედის ოლიმპიადას ძმამ) კავშირი დაამყარა რომთან, მის მხარეზე გამოვიდა იტალიკების წინააღმდეგ და ბრძოლაში დაიღუპა. არც მაშინ, არც მომდევნო წლებში აღმოსავლეთში მყოფ ალექსანდრეს იტალიისთვის არ ეცალა. 321 წელს, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, რომმა სამნიტებთან ბრძოლაში კავდინის ხეობაში უსასტიკესი მარცხი განიცადა. რომმაელი ჯარისკაცები, როგორც ძველი ისტორიკოსები წერდნენ, „უღელში გაატარეს“. ახლა ამ სამარცხვინო ოპერაციისათვის სამაგიეროს გადახდის დრო დადგა. ალექსანდრემ პტოლემაიოსი გააგზავნა ქალაქ ტარენტში, თავისი ბიძის მკვლელები დაადანაშაულა, რომისადმი მტრულად განწყობილი იტალიური ტომები, განსაკუთრებით სამნიტები. მათ წინააღმდეგ ჩამოყალიბდა უძლიერესი კავშირი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ალექსანდრეს მიერ შექმნილი სამეფო, რომი და იტალიის მრავალრიცხოვანი ბერძნული ქალაქები. რა უნდა გაეწყოთ მათ წინააღმდეგ თუნდაც მრავალრიცხოვან სამნიტებსა და მათ მოკავშირეებს?! 317 წელს სამნიუმმა მძიმე მარცხი განიცადა. ჩამოყალიბდა კორინთოს კავშირის მსგავსი იტალიურ-ბერძნული ქალაქების გაერთიანება. ამიერიდან რომის სახელმწიფოს თავის სამხრეთით რაიმე პრეტენზია აღარ ექნებოდა (როგორ შორს იყო ყოველივე ეს სინამდვილისგან?!). იგი თავის ექსპანსიას ჩრდილო იტალიისა და გალიისაკენ მიმართავდა.

ახლა მთელი ხმელთაშუაზღვეთი ალექსანდრეს ხელში იყო. მას შეეძლო ყურადღება ისევ აღმოსავლეთისაკენ მიემართა. ინდოეთი თავიდან გახდა დასამორჩილებელი. როცა 323 წელს ჩანდრაგუპტამ ალექსანდრეს სიკვდილის ამბავი შეიტყო (რომელიც არ გამართლდა), აჯანყდა და თავს დაესხა ბერძნულ-მაკედონურ გარნიზონებს. ახლა, როცა ალექსანდრე კვლავ გამოჩნდა ინდოეთში თავისი ჯარებითა და მრავალრიცხოვანი, ადგილობრივი წარმოშობის მოქირავნეებით, ჩანდრაგუპტამ ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა, აღიარა თავისი კაპიტულაცია და განაცხადა, რომ ამიერიდან ალექსანდრეს მსახური გახდებოდა. ალექსანდრემ შეუნდო მას და განგის აუზში ყველაზე ძლიერ მაგადხას წინააღმდეგ გააგზავნა. ჩანდრაგუპტა ავანგარდში მოქმედებდა, მეფე კი ძირითადი ძალებით მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა. ბერძენ-მაკედონელებმა პატალიპუტრა დაიკავეს, განგის შესართავამდე მივიდნენ, სადაც ალექსანდრე ინდოეთში ჩამოსულ ფინიკიელთა ფლოტს შეხვდა, თავის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს. 314 წელს გაუქმდა მაგადხას სამეფო. მის მმართველად მეფემ თავისი უახლოესი თანამებრძოლი სელევკოსი დანიშნა.

ბუდას სამშობლო – ინდოეთი მთლიანად ალექსანდრეს ხელში იყო. იმპერიის ერთიანობით კარგად ისარგებლეს ბუდისტმა მისიონერმა ბერებმა. მათ თავიანთი მოძღვრება ევროპაშიც გაავრცელეს, სადაც ადგილობრივ რელიგიებს არ დაპირისპირებიან. ბერძნებმა ზენონმა და ეპიკურემ ბუდას ქადაგებებს თავისი კომენტარიც კი მიუძღვნეს.

აღმოსავლეთში საქმეების მოგვარების შემდეგ თავის დედაქალაქ ალექსანდრიაში დაბრუნებულ მეფეს ბერძნული ქალაქების ელჩები დაჟინებით სთხოვდნენ, დაეცვათ ისინი სკვითებისაგან. ეს ალექსანდრემ გააკეთა კიდეც. ახლა უკვე ჩინეთის საკითხი დადგა. მაკედონელმა ბევრი რამ იცოდა ჩინეთის ზღაპრული სიმდიდრის შესახებ, აგრეთვე ისიც, რომ აქ აჯანყებები ხდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. ალექსანდრემ მიიმხრო კიდეც ეს აჯანყებულები, 311 წელს დაამარცხა ჩინელები და ამ სახელმწიფოს ტახტზე თავისი ძველი თანამებრძოლი ანტიგონი („მონოფტალმოსი“, ანუ ცალთვალა) დასვა. 293 წელს იგი მისმა ვაჟმა, ცნობილმა სარდალმა დემეტრიოსმა („პოლიორკეტოსი“, ანუ ციხე-სიმაგრეების ამღები) შეცვალა. 308 წელს ნეარქოსმა აღმოაჩინა ჩინეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა.

311 წლისათვის ალექსანდრეს ლაშქრობები დამთავრდა. ამიერიდან მას უკვე მთელი ცივილიზებული სამყარო ეკუთვნოდა. 287 წელს უკვე ხანდაზმული მაკედონელი დამპყრობელი გარდაიცვალა. იგი 69 წლისა იყო, ფანტაზია, როგორც ცნობილია, უსაზღვროა.

**გივი გამრეკელი**

**ვარაუდი**

***... არადა, როგორ კარგად მუშაობდნენ ერთად! ნიკიტა ხრუშჩოვი – მარცხნივ, იოსებ სტალინი – მარჯვნივ.***

***1953 წლის 5 მარტს კუნცოვოში თავის აგარაკზე გარდაიცვალა იოსებ სტალინი. ყოველ შემთხვევაში, ასე ითვლება ოფიციალურად...***

***ნიკოლაი დობრიუხა***

# სტალინი მახლობელ აგარაკზე არ მომკვდარა. ის კრემლში მოკლეს?





## სიკვდილის ახალი ვერსია

**ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1963 წლის 19 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა მოსკოვში გამართა დიდი მიღება უნგრეთის პარტიულ-სამთავრობო დელეგაციის აღსანიშნავად.** რასაკვირველია, სტუმრებისთვის გაიშალა უხვი მაგიდა და ხრუშჩოვურად შესთავაზეს წვეულებს „კარგად დალიონ და გემრიელად მიირთვან“.

არ შემიძლია ვთქვა, თუ სხვები როგორ იქცეოდნენ, მაგრამ რაც შეეხება ნიკიტა ხრუშჩოვს, მან, როგორც ჩანს, კარგად დალია, მაგრამ... ცუდად მიირთვა და როდესაც დაიწყო მისთვის მომზადებული სიტყვის წაკითხვა და მივიდა სიტყვებამდე სტალინის პიროვნების კულტის გამოაშკარავებასთან დაკავშირებით, რამდენიმე სიტყვა თქვა თავისგან... დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში! და ყველაფერი, რასაც იგი ფხიზელი მალავდა ხოლმე ასეთი გულმოდგინებით თავის გონებაში, უეცრად ენაზე მოადგა.

„ზოგიერთი ჭკვიანი ამხანაგი, – ასე დაიწყო ხრუშჩოვმა თავისი მოულოდნელი ექსპრომტი, – ფიქრობს, რომ თუ ის მიმართავს ჩვენს ხალხს და ჩვენს პარტიას და იტყვის, რომ XX ყრილობის გადაწყვეტილება სტალინის შესახებ არასწორი იყო, რომ პიროვნების კულტის დაგმობა – ეს არასწორია, რომ პარტია უმალვე დაშლის ცენტრალურ კომიტეტს და უმალვე, ასე ვთქვათ, აღდგება სიმართლე (მთელი ეს ექსპრომტი მომყავს სიტყვა-სიტყვით სპეციალურად „კომსომოლსკაია პრავდისთვის“ გაშიფრული მაგნიტოფონური ჩანაწერით, – **ავტ.შენიშვნა**)... ამხანაგებო, – განაგრძო ხრუშჩოვმა, – მე ვღებულობ წერილებს და წერილებში მუშები, გლეხები, ინტელიგენცია მწერენ: „კარგია, ამბობენ, ამჟამად ჩვენთან... კარგია ყველაფერი, უკეთესია, ვიდრე იყო. ოხ, ამბობენ ისინი, სტალინი რომ ათი წლით ადრე მომკვდარიყო, როგორ ყველაფერი კარგად იქნებოდა“. და ეს კარგი ფიქრია. ეს სახალხო ფიქრია. ეს სწორია...“

ბუნებრივია, მეორე დღესვე ცენტრალურმა გაზეთებმა დაბეჭდეს ის, რასაც გუშინ საუბრობდა კრემლის ახალი ბატონ-პატრონი. მაგრამ... იმის შესახებ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, სტალინი რომ უფრო ადრე მომკვდარიყო, გაზეთებში სიტყვისთვის ადგილიც აღარ დარჩა. მაგრამ ეს შეიძლებოდა წაგეკითხა მომდევნო გასწორებულ შინაარსში: „ახლა საბჭოთა ხალხი ცხოვრობს უკეთესად, ვიდრე ოდესმე წინათ. და უმატებენ: სტალინი რომ 10 წლით ადრე წასულიყო ხელმძღვანელობიდან და შესაძლებლობა ყოფილიყო – ადრე დაგვეწყო მუშაობა, როგორსაც ახლა ეწევა პარტია, საბჭოთა ხალხის ცხოვრება აუცილებლად უკეთესი იქნებოდა!“

მაგრამ ხრუშჩოვს ეს სიტყვები საკმარისად არ მოეჩვენა და მან დაიწყო საუბარი იმის შესახებ, თუ „სტალინი როგორ აკეთებდა ყველაფერს თავისებურად“, და უცბად (ყურადღება!) თქვა: „აი სწორედ ამისთვის ჩვენ იგი... ეს არის თვითნებობა, ეს არის ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ამისთვის ვგმობთ ჩვენ მას სწორედ. სწორედ ამისთვის ვგმობთ ჩვენ მას. და ვერავინ ვერ შეამკობს მას თეთრად, ვერავინ... შავ ყორანს ვერ გაათეთრებ...“ რასაკვირველია, ეს სიტყვები მეორე დღეს გაჩნდა გაზეთებში სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაციით. კერძოდ კი: „აი ამისთვის ვგმობთ მას ჩვენ, ასეთი თვითნებობისთვის, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისთვის. და არავის შეუძლია გაათეთროს პიროვნების კულტის დროინდელი შავი საქმეები“.

მაგრამ ამ სიტყვების შემდეგაც ხრუშჩოვს მოეჩვენა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ უთქვამს და იმისთვის, რომ ყველაფრისთვის მიეჩინა თავისი ადგილი, ნიკიტა სერგეევიჩმა უეცრად წამოიყვირა: „კაცობრიობის ისტორიაში ბევრი მკაცრი ტირანი იყო, მაგრამ ყველა ისინი დაიღუპა... – აქ ხრუშჩოვი შეჩერდა, – ისეთივე ნაჯახით, როგორი ნაჯახითაც ისინი ინარჩუნებდნენ თავიანთ ხელისუფლებას“.

დარბაზი გაშეშდა. შემდეგ კი აფეთქდა. ვინაიდან, ვისაც ყურები ჰქონდა, გაიგონა, თუ როგორ იმალებოდა ყოველივე საიდუმლო ინსტანციების მიერ.

და ახლა, როდესაც ხელთ გვაქვს მთავარი ინფორმაცია სტალინის სიკვდილის შესახებ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1953 წლის 4 მარტს გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სტალინს, როდესაც იგი კრემლში თავის ბინაში იმყოფებოდა, დამბლა დაეცა, სინამდვილეში შეიძლება ნიშნავდეს, რომ სტალინი ფიზიკურად მოკლეს კრემლში, ხოლო ახლო აგარაკზე მიიყვანეს მისი ორეული, რომელსაც „მკურნალობდნენ“ ხუთი დღის განმავლობაში, რათა დროულად გაეყოთ ხელისუფლება. როდესაც იგი გაიყვეს – თავიდან მოიშორეს ორეული. ამ ადგილზე უნდა გავჩერდეთ უფრო კონკრეტულად, მით უმეტეს, რომ ეს ადგილი გაზეთებში საერთოდ არ ყოფილა, თითქოს ამის შესახებ ხრუშჩოვს არაფერი ეთქვას...

## რატომ არის გასაიდუმლოებული ბერიას საქმე?

**მაშ ასე, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები: „სტალინი დაიღუპა ისეთივე ნაჯახით, როგორი ნაჯახითაც იგი ინარჩუნებდა თავის ხელისუფლებას“?! რასაკვირველია, შეიძლება ივარაუდო, რომ ეს ითქვა გადატანითი მნიშვნელობით, ესე იგი, ბიბლიური მნიშვნელობით, კერძოდ კი: „ვინც მახვილს აღმართავს, მახვილითვე დაიღუპება“!**

მაგრამ, მართლაც მეტი ვარაუდით, სტალინი ჩამოიშორეს არა საწამლავით, არამედ ფიზიკური ძალის გამოყენებით. ამ აზრამდე მივყავართ უკიდურესად საეჭვო შეუთავსებლობას კრემლში სტალინის ავადმყოფობის ოფიციალურად გამოცხადებულ ფაქტსა და მის ნამდვილ ადგილსამყოფელს შორის (მკურნალობასა და სიკვდილს შორის) აგარაკზე...

ამასთან დაკავშირებით ჩნდება შეკითხვა: ხომ არ არის ეს საეჭვო შეუთავსებლობა იმის გამოძახილი, თუ რა მოხდა სინამდვილეში, კერძოდ კი: სტალინი მაინც (ხრუშჩოვის განცხადების თანახმად) მოკლეს კრემლში, შემდეგ კი აგარაკზე მოაწყვეს მოწამლული ორეულის ხუთდღიანი მკურნალობა... იმ მიზნით, რომ დადგა ხელისუფლების გაყოფის დრო?! ამ დოკუმენტების მიხედვით კი ყველა მონაცემი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ კრემლის კედელში დამარხულია არა სტალინი... ორეული. ამის შესახებ მოწმობს ის ფაქტი, რომ, როგორც კი 1953 წლის 5 მარტს ხელისუფლება გადავიდა ბერიას, მალენკოვისა და ხრუშჩოვის ხელში, ისინი უმალვე გაემგზავრნენ სტალინის აგარაკზე და იქვე მათ თვალწინ მედიცინის დამ მოისევამ გაუკეთა მას სასიკვდილო აცრა, რისგანაც სტალინი (ორეული?) გარდაიცვალა იმავე წუთს...

ნამდვილი სტალინის ფიზიკური ჩამოშორების სასარგებლოდ შეიძლება გამოდგეს ბერიას საქმესთან დაკავშირებული საგამოძიებო მასალები. ამაოდ ხომ არ არის ვარაუდი, რომ ბერია ცდილობდა ხრუშჩოვის შანტაჟს მისი პირადი მონაწილეობის გამო სტალინის მკვლელობასთან დაკავშირებით (რისი წყალობითაც ხრუშჩოვი მაშინ გახდა მესამე პირი ქვეყანაში). პასუხად ხრუშჩოვს არა მხოლოდ შეეძლო უმალვე გასწორებოდა ბერიას, არამედ გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ დოკუმენტები მისი ჩვენებებით მიუწვდომელი გამხდარიყო.

ბერიას ამ საიდუმლოების გახსნას მე ვცდილობდი ვ.ა.აბოლენცევის – ნიურნბერგის სახელგანთქმული პროკურორის რ.ა.რუდენკოს თანაშემწის ხელშეწყობით. მაგრამ აბოლენცევმაც კი, რომელიც შემდგომში თავად ასრულებდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოვალეობას, ამ საკითხში აღმოჩნდა უძლური. ერთადერთი, რაც ცნობილი გახდა, – ეს არის ის, რომ ბერიას საქმეში არის ისეთი რამ, რისი ცოდნაც დღეს სასურველი არ არის! თანაც, აიო, ზოგიერთი ტომი ამ საქმისა ვიღაცამ სადღაც ისე დადო, რომ ვერ პოულობენ...

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ბერიას აღიარებათა მთავარი საიდუმლო არის ის, თუ, კერძოდ, როგორ მოკლეს სტალინი და ვის შეიძლებოდა ჰქონოდა ამ საქმესთან დამოკიდებულება ბერიასა და მალენკოვის გარდა.

სხვათა შორის, ყურადღებას იპყრობს შემდეგი რამ: როდესაც ყურადღებით უსმენ სამაგნიტოფონო ჩანაწერს ხრუშჩოვის გულღიაობასთან დაკავშირებით, აშკარად გრძნობ, რომ ნიკიტა სერგეევიჩი რაღაცას არ ამბობს ბოლომდე, როდესაც მინიშნებებსა და ენის ბორძიკზე გადადის. და ამავე დროს აშკარად გაგრძნობინებს, რომ ის არ ყოფილა იმისგან განზე მდგარი, რომ სტალინი მოკვდა და რომ სწორი იქნებოდა დახმარებოდნენ სტალინს უფრო ადრე მომკვდარიყო... აი სწორედ ასეთი ძახილის ნიშანი სტალინის სიკვდილის „სიმართლეზე“ გვაფიქრებინებს: ვინ – ვინ მოკლა?!

მით უმეტეს, რომ გაჩნდა ცნობები: აიო, სტალინის საფლავში კრემლის კედელთან დამარხულია... მხოლოდ კუბო, სხეული კი (საჩივრების თავიდან ასაცილებლად!) დაწვეს, გამოიტანეს მავზოლეუმიდან ჯერ კიდევ ხრუშჩოვის სიცოცხლეში.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა დაადასტურა, რომ საქართველომ ხელში ჩაიგდო ურანის პარტია და ბრალი დასდო რუსეთს



**ოთხშაბათს „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ხელში ჩაიგდო მაღალგამდიდრებული ურანის პარტია და ბრალი დასდო რუსეთს რეგიონში არასტაბილური ვითარების შექმნაში, რომელიც კონტრაბანდისტებს აძლევს საშუალებას – იმოქმედონ ბირთვული მასალებით**

„ინტერვიუში პრეზიდენტმა უარი განაცხადა დეტალებზე საუბარზე ურანის კონფისკაციასთან დაკავშირებით, განაცხადა მხოლოდ, რომ ურანი ხელში ჩაიგდეს მარტში საქართველოში შემოტანის დროს“, – წერს კორესპონდენტი დესმონდ ბატლერი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ხელისუფლებამ დააპატიმრა უცხოელ მოქალაქეთა ჯგუფი და მათ ჩამოართვა ურანის პატარა პარტია, რომელიც ამჟამად სათანადო ადგილზე ინახება.

სააკაშვილის მთავრობა უკვე კონტროლს ვეღარ უწევს ორ ოლქს, რომლებიც საქართველოს გამოეყვნენ; აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. პრეზიდენტმა თქვა, რომ კონტრაბანდა – ეს არის „შავი ხვრელის“ მაჩვენებელი რაიონებში. ასეთ ნივთიერებათა ხელში ჩაგდება ხორციელდება უმთავრესად რუსეთის მიმართულებიდან. სააკაშვილმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ საქართველოსთვის საუკეთესო დაცვაა – დასავლეთის მონაწილეობა რეგიონის საქმეებში, აღნიშნა, რომ სურს ამერიკის შეერთებული შტატების არა სამხედრო ყოფნა, არამედ ამერიკის ყოფნა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, აგრეთვე უშიშროების სფეროში.

ახალი ამბები ურანის პარტიის ხელში ჩაგდების შესახებ ცნობილი გახდა წინა კვირაში, ვაშინგტონში ბირთვული უშიშროების სამიტზე, სადაც ესწრებოდა სააკაშვილიც. ოთხშაბათს სააკაშვილმა თქვა, რომ რუსეთის კონტროლის ქვეშაა ორი სეპარატისტული ოლქი, რომლებიც გადაიქცნენ ბირთვული მასალების კონტრაბანდისტების საფარად. სააკაშვილმა განაცხადა აგრეთვე, რომ 2006 წელს სამხრეთ ოსეთში ოპერაციის შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ დააპატიმრა ოთხი კაცი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ მაღალგამდიდრებული ურანის პატარა პარტიის გადაცემასთან დაკავშირებით.

Los Angeles Times

# ლიტვის პრეზიდენტი საქართველოში არ ჩავა

**ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე არ ჩავა საქართველოში ქვეყნის დამოუკიდებლობის მორიგი წლისთავის დღესასწაულზე 26 მაისს. ლიტვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ივნისისთვის ვილნიუსში რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის ვიზიტთან დაკავშირებით. ლიტვის პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო პოლიტიკაში დარიუს სემაშკამ არ დაადასტურა ეს ვერსია. სხვათა შორის, მისი ასეთი უარყოფა მეტად სარწმუნო როდია – უარის თქმის მიზეზის განმარტების გარეშე**



გაზეთმა „ვილნიაუს დიენამ“ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ლიტვის ამჟამინდელი პრეზიდენტი, თავისი წინამორბედისგან ვალდას ადამკუსისგან განსხვავებით, დიდ სიმპათიებს არ გამოხატავს თავისი ქართველი კოლეგის მიხეილ სააკაშვილისადმი. სხვათა შორის, იგი არ მიუწვევიათ 11 მარტს ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენის 20 წლისთავის ზეიმზე. და, საერთოდ, დალია გრიბაუსკაიტე არ ისწრაფვის ააგოს „განსაკუთრებული დამოკიდებულება“ საქართველოსთან, როგორც ამას აკეთებდა ვალდას ადამკუსი. ძნელია გაიხსენო რაიმე განცხადება, ანდა პიროვნული კონტაქტი საქართველოს ხელისუფლებასთან, რომელიც დაამოწმებდა ლიტვის პრეზიდენტის ინტერესს ამ ქვეყნისადმი.

მაგრამ ლიტვის ლიდერის პოზიცია როდი ნიშნავს ვილნიუსის კურსის შეცვლას თბილისთან დამოკიდებულებაში. მაგალითად, გასულ კვირას სეიმში რეგისტრაცია გაიარა რეზოლუციის პროექტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად და რუსეთის ჯარების გამოყვანის მოთხოვნამ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. პროექტი მოუწოდებს რუსეთის და საქართველოს მხარეებს ჩაერთონ დიალოგში, ლიტვის პრეზიდენტსა და მთავრობას ის სთავაზობს „იხელმძღვანელონ ამ რეზოლუციის პრინციპებით“. ამ დოკუმენტის შემმუშავებელ 27 პიროვნებას შორის უმეტესობა მმართველი კოალიციიდანაა, მათ შორის ორი მინისტრი და პარლამენტის საგარეოპოლიტიკისა და ევროპის საქმეების კომიტეტების ხელმძღვანელები არიან. აშკარად ტრადიციული ხაზის მხარდამჭერია ლიტვის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი აუდრონის აჟუბალისიც. ერთ-ერთი თავისი პირველი ვიზიტით მარტის დასაწყისში ის ჩავიდა თბილისში, სადაც განაცხადა, რომ ლიტვა „რჩება საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად“.

**ვლადიმირ სკრიპოვი**

ВРЕМЯ

# დედამიწის ზურგზე



**პუტინი და ობამა მიჩნეული არიან მსოფლიოში ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსებად**

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, რომელიც „ჰარის ინტერაქტივის“ სამსახურმა მოაწყო საფრანგეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის, უნდა გამოევლინა მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ლიდერი პოლიტიკასა და სასულიერო სფეროში. პოპულარობის მიხედვით პუტინი სხვათა შორის, მეცამეტე ადგილზე აღმოჩნდა, მაშინ, როდესაც ობამამ ლიდერობა შეინარჩუნა.

* * *

**მოლდოვას უნდა 85 წლის განმავლობაში არ გადაიხადოს რუსეთის გაზის საფასური „საბჭოთა ოკუპაციის“ კომპენსაციის ხარჯზე**

რუსეთმა მოლდოვას უნდა გადაუხადოს 28 მილიარდი დოლარი, დაიანგარიშა კომუნისტური რეჟიმის შესწავლისა და შეფასების სახელმწიფო კომისიამ. რუსეთის ფედერაცია, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, ვალდებულია გადაიხადოს მოლდოველების შიმშილისგან და დეპორტაციისგან სიკვდილისთვის, მიაჩნია კომისიას.



* * *

**ბაკიევის დაპატიმრებას ხელს უშლის მისი ხელშეუხებლობა, იმუნინეტს მას მოუხსნიან**

ყირგიზეთის კანონმდებლობის შესაბამისად ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტები ფლობენ ხელშეუხებლობის იმუნინეტს სიცოცხლის განმავლობაში. მაგრამ კანონით გათვალისწინებულია, რომ გარკვეულ შემთხვევებში ხელისუფლების გადაწყვეტით ხელშეუხებლობა შეიძლება შეცვლილი იქნეს. დროებით მთავრობას განზრახული აქვს, დააყენოს საკითხი ბაკიევისთვის ხელშეუხებლობის მოხსნის შესახებ.

* * *

**აშშ-ს კონგრესმენები ითხოვენ არ აუკრძალონ ამერიკელებს რუსების შვილად აყვანა**

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობამ მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას უზრუნველყოს „ჩვენს ორ ქვეყანას შორის შვილად აყვანა, განსაკუთრებით მათი, რომლებიც ამჟამად რეალიზაციის პროცესში იმყოფებიან“. ამავე დროს, კონგრესმენებმა აღნიშნეს, რომ „მზად არიან შეიტანონ სათანადო კორექტივები და გაუმჯობესებანი“ რუსეთში ნაშვილები ბავშვების მონიტორინგის პროცესში.

* * *

**ბანგკოკის მეტროში სროლის დროს დაჭრილთა რაოდენობა 86 კაცამდე გაიზარდა**

წინა დღით მიწისზედა მეტროს სადგურ „სალადენგთან“ უცნობმა პირებმა ხუთჯერ გახსნეს ყუმბარმტყორცნის ცეცხლი. ნამსხვრევების შედეგად დაიღუპა ახალგაზრდა ქალი. იტყობინებიან შვიდი უცხოელის შესახებ, რომლებიც დაზარალდნენ აფეთქების შედეგად.



# ქართველები პეტერბურგში რევოლუციას ამზადებენ

**ბიზნესმენმა ალექსანდრე ებრალიძემ თბილისში მორიგი აურზაური გამოიწვია – ფორუმზე, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს საქართველოდან გაემგზავრა ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სამშობლოში მათ უკვე გამცემლები უწოდეს, აგრეთვე არამზადები და კრემლის ხმაზე მომღერლები, რომლებიც ცდილობენ საქართველოს ხელისუფლების დამხობას**

ფორუმი გაიხსნება პარასკევს პეტერბურგის სასტუმრო „თალიონში“, რომელიც ებრალიძეს ეკუთვნის. ბიზნესმენმა, რომელიც, სხვათა შორის, პრეტენზიას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, თბილისიდან მიიღო დაახლოებით 60 კაცი. კონგრესი განიხილავს სიტუაციას საქართველოში და ამ სიტუაციიდან გამოსვლის გზებს, აგრეთვე ქვეყნის ნეიტრალური სტატუსის შესაძლებლობას. წინასწარი ინფორმაციით, შაბათს კონგრესი დაამტკიცებს დეკლარაციას, ეს ყოველივე დასრულდება ქართველ შემსრულებელთა კონცერტით.

სანკტ-პეტარბურგში ცნობილი ოპოზიციონერებიდან გაემგზავრა კობა დავითაშვილი (ხალხის პარტიაძ, კახა კუკავა (კონსერვატიული პარტიაძ, ვალერი კვარაცხელია („ნეიტრალური საქართველო“ძ და ზოგიერთი სხვა პიროვნება. დავითაშვილი და კუკავა არ მალავენ, რომ სანკტ-პეტერბურგიდან ისინი ჩავლენ მოსკოვში რუსეთის ხელისუფლებასთან, ოპოზიციასთან და საზოგადოებრიობასთან შესახვედრად.

როგორც დავითაშვილმა გვაცნობა, „ჩვენ უნდა დავიწყოთ რუსეთში ქართული ლობის ჩამოყალიბება“. „როგორც სომხური ლობი მუშაობს აქტიურად სომხეთის ეროვნული ინტერესების დასაცავად, ასევე ქართულმა დიასპორამაც უნდა იღვაწოს ქვეყნის გაერთიანების საქმისთვის“, – თქვა მან. კუკავამ დაუმატა: „დაგეგმილია შეხვედრები არა მხოლოდ ქართულ დიასპორასთან, არამედ რუსეთის პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთანაც“.

როგორც ჩანს, ამ შეხვედრებს ხელს არ შეუშლის საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, რომელმაც მოუწოდა თანამემამულეებს არ მიეღო მონაწილეობა ებრალიძის კონგრესში, რომელსაც ხელისუფლება მიიჩნევს „დამნაშავედ“ და „კრემლის ინტერესების“ გამტარებლად. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში პაპუნა დავითაიამ განაცხადა, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი აპირებს ქართული დიასპორის დახმარებით განახორციელოს თავისი ბოროტი განზრახვანი. მისი სიტყვებით, რუსეთის სპეცსამსახურებს განზრახული აქვთ ყველაფერი წარმოაჩინონ ისე, თითქოს არის ძალები, რომლებიც უპირისპირდებიან საქართველოს ხელისუფლებას.

„ასეთ ძალებს მე ვუცხადებ, რომ დიასპორებში 99 პროცენტი საქართველოს პატრიოტია“, – თქვა დავითაიამ და გამოთქვა რწმენა, რომ „მათ ესმით, თუ რა ბინძურ თამაშში აპირებს რუსეთი მათ გამოყენებას“. სახელმწიფო მინისტრი ამტკიცებს, რომ მოწვეულთა 99 პროცენტი არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს ამ ღონისძიებაში. ქართველების კონსოლიდაციის ადგილი, განაცხადა დავითაიამ, არის არა რუსეთი, არამედ თავად საქართველო.

თავად დავითაიას მოადგილე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი გიორგი ოპოზიციონერებს, რომლებიც რუსეთში გაემგზავრნენ, „გარეწრებს“ უწოდებს. „საკითხი შეეხება რამდენიმე რენეგატს შულავერის კომიტეტიდან (რევოლუციური კომიტეტიძ“, – თქვა მან.

უფრო თავშეკავებულია საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი. მისი აზრით, მოლაპარაკება რუსეთთან უნდა იყოს საგნობრივი, კერძოდ, საქართველოს დეოკუპაციის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიციის რუსეთული ვოიაჟი ემგვანება, როგორც მინიმუმ, „პოლიტიკურ ტურიზმს“.

კვარაცხელიამ კი გაოცება გამოთქვა: „რა უნდათ ებრალიძისგან, რომელიც ისტორიულ საქმეს აკეთებს?“ „ჩემი აზრით, ის მამაცი ქართველია და მას მივესალმებით ჯერჯერობით აქედან. როდესაც ჩავალ მას ძმურად მოვეხვევი და ვაკოცებ“, – თქვა მან სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების წინ.

კონგრესის ფორუმზე მიწვეული ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი ეჭვს გამოთქვამს, რომ ეს „მხურვალე“ მოხვევა თანაბარი იქნება. მისი მტკიცებით, კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტს ფორუმზე ქართველი პოლიტიკოსები არ მიუწვევია და ისინი იქ თავიანთი ინიციატივით მიდიან. „ისინი არ მიუწვევიათ და არც კი ვიცი, შეუშვებენ თუ არა მათ დარბაზში“, – თქვა მან.

სხვათა შორის, ქართული ოპოზიციის ნაწილსაც მიაჩნია, რომ ებრალიძე და მისი კონგრესი მთლად უცოდველები როდი არიან. როგორც საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე აღნიშნავს, „პრობლემა ის არის, რომ ამ ფორუმს ატარებს ხალხი, რომელსაც განზრახული აქვს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა ეგრეთ წოდებული რუსული სცენარით“. „საკითხი რომ მხოლოდ ხელისუფლების შეცვლას შეეხებოდეს – ეს ერთი საქმეა. მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი არა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლას შეეხება, არამედ ქვეყნის შემობრუნებას 180 გრადუსით“, – განმარტა მან.

ერთი სიტყვით, აურზაური თბილისში ებრალიძის კონგრესთან და ქართველი ოპოზიციონერების რუსეთში ვიზიტთან დაკავშირებით შეიძლება სწორედ ასეთ მიზანს ისახავდა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინა პერიოდში. არჩევნები გაიმართება 30 მაისს და ამ დღესვე მოხდება ქალაქ თბილისის მერის პირდაპირი არჩევნები.

არჩევნები შეიძლება ყოფილიყო რუტინული, მაგრამ პოლიტიკაში მეტნაკლებად გათვითცნობიერებული ხალხი მიიჩნევს, რომ საქართველოს დედაქალაქის მერისა და თბილისის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის არჩევნების შედეგებზე დიდად იქნება დამოკიდებული, თუ რომელი პოლიტიკური ძალა იქნება დომინირებული უახლოეს პერიოდში საქართველოს საშინაო პოლიტიკაში, და შესაბამისად, როგორი იქნება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია. თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ არჩევნებს მოიგებს ამჟამინდელი მერი გიგი უგულავა – მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი. თანაც ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უგულავას გამარჯვებისთვის არჩევნების ფალსიფიკაციაც კი არ არის საჭირო – ის მას მოიგებს სუფთად, იოლად და სამართლიანად.

ქართული ოპოზიციის ნაწილი კი არ მალავს, რომ ადგილობრივი არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ქვეყანაში დაიწყება რევოლუციური მოვლენები. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლება მით უფრო ვერ იქნება გულგრილი ებრალიძისა და პრორუსული დიასპორის აქტივიზაციის ფაქტორთან დაკავშირებით, ვინაიდან, მათ მიაჩნიათ, სანკტ-პეტერბურგში განიხილავენ ხელისუფლების გადაყენების საკითხს რუსეთის ფულის დახმარებით, კერძოდ, ებრალიძის სახსრებით.

**ირინა ჯორბენაძე**

РОСБАЛТ

დედაქალაქი

***საქართველოში გამეფებულმა უმუშევრობამ, უკანონობამ, განუკითხაობამ, სხვა მრავალ სიმახინჯესთან ერთად, მოსახლეობის საუბედუროდ, ე. წ. მოხეტიალე დაჯგუფებებიც წარმოშვა. ზოგიერთმა მათგანმა „ვაიმშენებლის“ სახელი დაირქვა და წინასწარი განზრახვით, უკეთესი ბინით დაინტერესებულ მოქალაქეებს ჭერი დაუნგრიეს და საუკეთესო პირობები შესთავაზეს ახლადაშენებულ კორპუსებში.***

***ამგვარი მოხეტიალე-თაღლითი „მშენებლები“ სპეციალურად ეძებენ თბილისის პრესტიჟულ ადგილებში ბინების გაფართოებით დაინტერესებულ ძველ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეებს: ახალმშენებლობის დამთავრებამდე მენაშენეებს ბინების დაქირავებას სთავაზობენ და მოსახლეობაც ტყუვდება. ინგრევა ძველი სახლი, იწყება მენაშენეთა დაკმაყოფილება დაქირავებული ბინებით, მაგრამ... მშენებლობა რამდენიმე წელს გრძელდება და შეპირებული ბინების დაქირავება მალე წყდება და თავიდანვე მოტყუებული, უბინაოდ დარჩენილები უმწეო მდგომარეობაში ვარდებიან.***

***ზუსტად ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ თბილისის ცენტრში, ჭოველიძის ქუჩა №6-ის მცხოვრებლები, დაახლოებით 10 ოჯახი.***

# მოხეტიალე მშენებლები, ანუ გაუბედურებულ მენაშენეთა ისტორია



2001 წელს, ქალაქ ქუთაისში ხელმოცარულმა და ავტორიტეტშელახულმა „მშენებელმა“ **ვახტანგ ჟორდანიამ** თბილისს მოაშურა, მოატყუა ზემოხსენებულ ოჯახთა მცხოვრებნი, შეჰპირდა მათ – ბინის დანგრევიდან ახალი ბინის მიღებამდე ყველას დაგიქირავებთ ბინასო და ერთი წლის შემდეგ ახალ სახლებში დაგაბრუნებთო!.. ქუთაისელმა თაღლითმა ვახტანგ ჟორდანიამ ჩამოაყალიბა ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა **„ვილა“**, რომლის თავმჯდომარე თვითონ გახდა, მოადგილედ კი, „მელამ თავისი კუდი დაიმოწმაო“, თბილისში ჩაუწერავი, უსახლკარო **რეზო ბაბუნაშვილი** „დაამტკიცა“.

მშენებლობა დაიწყო 2001 წელს და დღემდე დაუმთავრებელია. თითქმის 10 წელიწადი გავიდა და მშენებლობას ბოლო არ უჩანს. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ოჯახი განადგურდა – ნერვიულობისგან რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა.

არადა, მშენებლობა თითქოს ჩქარი ტემპით დაიწყო, მაგრამ... მალე ტემპმა იკლო. უყაირათო ვაიმშენებლებმა უანგარიშოდ ხარჯეს მშენებლობისთვის განკუთვნილი ფული. თავიდან, რა თქმა უნდა, ამ მოხეტიალე მშენებლებს, ყოველგვარ საფუძველმოკლებულებს, ახალი მშენებლობის უფლებას ვინ მისცემდა უქრთამოდ! ქალაქის არქიტექტურის სამსახურის მესვეურებმა ბლომად ფინანსები „ჩამოაჭრეს“ და ამ გზით მისცეს მშენებლობისა და მოქალაქეთა ძარცვის უფლება! ამას დაემატა ისიც, რომ არც ვახტანგ ჟორდანიას და არც მის მოადგილეს რეზო ბაბუნაშვილს თბილისში არც ჩაწერა და, რალა თქმა უნდა, არც ბინები გააჩნდათ! ორთავემ ბინები აიღეს გირაოთი, რაშიც დიდი თანხა გადაიხადეს.

როგორც ამბობენ, ეს ვაიმშენებლები მდიდრულ ცხოვრებას ეწეოდნენ და დღესაც ეწევიან. ამ ყველაფერმა კი დიდძალი ფულადი თანხები შეიწირა. უფრო მეტიც, ფული, როგორც ლაპარაკიდან და საქმიდან ჩანს, ქრთამებმა შეიწირა. ქალაქის არქიტექტურის სამსახურის მესვეურები უბრალო მიშენების ნებართვას არ გასცემდნენ უსარგებლოდ.

ვაიმშენებელმა ვახტანგ ჟორდანიამ დიდძალი ქრთამი გადაუხადა აგრეთვე თბილისში შემოხიზნულ ლტოლვილ ნოტარიუსს ვინმე **ფარჯიკიას,** რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გაყიდული ბინების მეორედ გაყიდვაში დაეხმარა მას: ასეთივე გზით მიაღწია სასამართლო პროცესის მრავალგზის გადადებას (მოსამართლე **მებონია**ძ. ყოველივე ამან გამოიწვია მშენებლობის დაუმთავრებლობა.

როგორც ითქვა, მათ გაყიდული ბინები ხელმეორედ გაყიდეს სხვა მოქალაქეებზე. ბინების მეორედ გაყიდვაში დიდი როლი ითამაშა ნოტარიუსმა ფარჯიკიამ, რომელმაც გააყალბა სათანადო პირველი ხელშეკრულება, მოიწვია კრება და დარღვევით დააკანონა ბინების მეორედ გაყიდვის ნებართვა!!!

**ვიმეორებ: მხოლოდ და მხოლოდ ფარჯიკიას ხელშეწყობით გაყიდა ვახტანგ ჟორდანიამ ბინები მეორედ!**

ამხანაგობა „ვილას“ შენობა რვასართულიანია, მეცხრე მანსარდია. საერთო ფართობი დაახლოებით 3800 კვ.მ. ბინების მეორედ გაყიდვის გამო, ფულგადახდილი მოქალაქეების კუთვნილი ფართის რაოდენობა მეტია, ვიდრე არსებული ფართობი! თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის თავმჯდომარეს ვახტანგ ჟორდანიას თავის საკუთრებაში აქვს დატოვებული 1200 კვ.მ. ფართობი, რომლის გასანაწილებელ ფართში ჩართვით, შესაძლებელი გახდება ბინები ყველასათვის საკმარისი აღმოჩნდეს. ამიტომაც, ამხანაგობა „ვილას“ წევრებმა 2003 წლის დეკემბერში სასამართლოს მიმართეს. სასამართლომ მშენებარე სახლს ყადაღა დაადო და დაინიშნა სასამართლო...

**არ ვაჭარბებ, მოსამართლე მებონიამ 8-ჯერ გადადო სასამართლო პროცესი იმ მოტივით, რომ დამნაშავე ჟორდანია არ ცხადდებოდა პროცესზე. ნოტარიუს ფარჯიკიას ხსენებაც არ იყო. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს იყო ფარსი – სასამართლო დაზარალებული მობინადრეების თვალის ასახვევად.**

ამ გაჭიანურებული სასამართლო პროცესის ბოლოს ჩვენში დაიწყო ქართული სასამართლოს ვაირეფორმები. მებონია გადაიყვანეს ქარელში, ეს საქმე სხვა მოსამართლის ხელში გადავიდა... მებონიამ კი ქარელში მოღვაწეობიდან, როგორც ამბობენ, ციხეში ამოყო თავი!

ამ სავალალო მშენებლობის შესახებ მრავალჯერ დაიწერა პრესაში, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“, – არავინ არ გამოგვხმაურებია და ზომების მიღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. 2005 წლის 10 ივლისს კვლავ გამოქვეყნდა ჟურნალისტ სპარტაკ ქობულიას მწვავე წერილი სათაურით – **„თაღლითების კარუსელი“**. წერილში ნათლად იყო წარმოჩენილი დანაშაულის სიღრმე, დამნაშავეთა გადამალვის ფაქტები. ვითომცდა ვერც პოლიციამ, ვერც სასამართლომ ვერ მიაგნო დამნაშავეთა კვალს, უბრალოდ, არავინ არ დაინტერესებულა მათი ძებნით, თორემ ჩვენს ხელისუფლებას ვინმე დაემალება? ამიტომაც, 5 წლის განმავლობაში ვერავინ ვერ დაადგინა სად „დაიკარგნენ“ ქუთაისიდან ჩამოსული მოხეტიალე ვაიმშენებლები ვახტანგ ჟორდანია და რეზო ბაბუნაშვილი. ერთი კი ფაქტია: დაზარალებულ მენაშენეთა ხარჯზე ამ უბინაო თაღლითებმა ბინებიც იშოვეს, მანქანებიც შეიძინეს და ბევრიც „იგრიალეს!“

**მენაშენეთა ენით აუწერელ გაჭირვებას ქალაქის ხელმძღვანელობა გულგრილად ექცევა. ნუთუ თბილისის ამ ცენტრალურ ადგილას, მთელი 10 წლის განმავლობაში არ გაუვლია არც გიგი უგულავას, არც მის წინამორბედს, არც მთავრობის წევრებს და არც თვით ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს? რამ გაუცივათ გული საკუთარი ხალხისადმი? რა დროს „ძველი თბილისის ახალ სიცოცხლეზეა“ ლაპარაკი, როცა მიტოვებული მშენებლობებია დაუმთავრებელი?** ეჭვგარეშეა, რომ „ძველი თბილისისთვის ახალი სიცოცხლის დაბრუნებაც“ ბევრ მოქალაქეს გააბოროტებს და სიკვდილს მოანატრებს!

* * *

**მაინც რა ეშველება „ვილას“?**

**უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ზუსტად გაირკვეს, რამდენია გასანაწილებელი ფართობი. გაირკვეს ყველას დასაკმაყოფილებლად საჭირო ფართის რაოდენობა.**

**ჩამოერთვას და საერთოდ გასანაწილებელ ფართში ჩაირიცხოს დამნაშავე ვახტანგ ჟორდანიას საკუთრებაში არსებული 1200 კვ.მ; დადგინდეს – რა განსხვავებაა გასაცემ და არსებულ ფართებს შორის, ე. ი. გასაცემსა და არსებულ ფართებს შორის!**

**თუ ხელისუფლება დაინტერესდება, საქმე იოლად მოგვარდება. კარგი იქნება თუ სახელმწიფო შეისყიდის შენობის კარკასს. ჩვენი ქვეყანა ხომ ყველაფერს ჰყიდის, ამ ერთხელ შეისყიდოს! ან ვინმე კერძო პიროვნებამ ითავოს მშენებლობის დამთავრება და მენაშენეთა დაკმაყოფილება.**

წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდის პარალელურად, უფრო აუცილებელ და გადაუდებელ საქმეს მიხედეთ – უბინაობით გატანჯულ ხალხს ყოფა შეგვიმსუბუქეთ.

**მენაშენეთა ამხანაგობა „ვილას“ გატანჯულ წევრებს ბოლო იმედი აქვთ მთავრობისა და პირადად გიგი უგულავასი.**

**ბატონო გიგი, დაეხმარეთ ამ გატანჯულ მენაშენეებს, ნუ დაკარგავთ ათასობით ამომრჩევლის ხმას!**

**მშენებარე ამხანაგობა „ვილას“ წევრთა სახელით, პროფესორი**

**მიხეილ გონიკიშვილი**

ვაი ჩვენს პატრონს!

# როგორ გავხდი აკადემიკოსი

**რეალობას სად გავექცევით, იმ დაწყევლილ კომუნისტურ ეპოქაში, ყველაზე უფრო დაწყევლილებად მეცნიერები გამოვიყურებოდით. შეიძლება მთელი ცხოვრება გაუსაძლისი მოთმინებით გეკოდა ქვის ლოდი, საიდანაც დიდი სამეცნიერო კარიერის ჩამოთლას აპირებდი, მაგრამ ისე დაგემთავრებინა სიცოცხლე, რიგითი დოცენტის ფრთამოტეხილ იმიჯსაც ვერ გასცილებოდი. აღარაფერს ვამბობ პროფესორობაზე, მით უფრო აკადემიკოსობაზე, რომლებთან მიახლოება დიდ მიღწევად ჩაგეთვლებოდა, თუ სიზმრად მაინც დალანდავდი.**

ღმერთსა მადლი, საბაზრო ეკონომიკის შემობრძანებამ საქართველოში ეს ლოდი თვალის დახამხამებაში დაამსხვრია, თორემ ვიღუპებოდი. ბოლო წლებში, ნაცმოძრაობასთან ერთად, ქვეყანას ქათმისა და ღორის გრიპივით მოედო საპროფესორო და საააკადემიკოსო მოძრაობა. კვირა ისე არ გაივლის, დედაქალაქის (და არა მარტო დედაქალაქის) ცაზე ახალი ეროვნული აკადემია არ აციმციმდეს. რა დასამალია, საგადასახადოელებისგან შეშინებულმა ბევრმა წვრილმა მეწარმემ სავაჭრო ჯიხური აიღო და მის ნაცვლად აკადემია ჩადგა.

საააკადემიო ბიზნესის ასეთი ტემპებით განვითარებამ ფრთები შეასხა ჩემს ოცნებასაც (არადა მეცნიერების საცოდავ კანდიდატად ვრჩებოდი) და ერთბაშად სამი ეროვნული აკადემიის დამაარსებელი და, ბუნებრივია, მათივე პრეზიდენტი გამხადა. რატომ ამდენი აკადემიის? გაიოლებულია, ჩემო ბატონო, აკადემიების, ისევე როგორც საერთოდ ბიზნესის გაფორმება (ამ მაჩვენებლით ჩვენ ხომ მსოფლიოს ლიდერი ქვეყანა ვართ) და იმიტომ. სულ რამდენიმე საათში შეგიძლია მოიძიო აკადემიკოსობის მსურველები (მე შენ გეტყვი, საქართველოში ასეთებს ვერ იპოვი), დააფუძნო, სახელი დაარქვა, დაარეგისტრირო და აკადემიაც სამოღვაწეოდ მზად არის.



აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გაიოლებულია აკადემიის წევრად მიღებაც. საკმარისია დაწერო განცხადება, საწევრო (35-40 ლარი) გადაიხადო და აკადემიკოსობაც ზედ გაკერია. თუ ამ ისტორიულ თარიღს პურმარილითაც აღნიშნავ, მთლად უკეთესი. ამას წინათ, ერთი ჩემი მეგობარი, მაგალითად, შპს „გაღიმებული თაგვის“ აკადემიაში პირდაპირ გაშლილ სუფრაზე აკურთხეს. ცოტა გაუგებრობა კი მოხდა... თავიდან აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მოწმობა გადასცეს, მაგრამ რომ ნახეს, არ ესიამოვნა, ვიდრე თამადა დედმამიშვილების სადღეგრძელოზე გადავიდოდა, სასწრაფოდ ნამდვილი აკადემიკოსის მოწმობა მოურბენინეს.

არც უცხოური აკადემიების აკადემიკოსობა გახლავთ პრობლემა. საზღვარგარეთ თუ მოხვდები ტურისტული საგზურით, ჩემო ბატონო, შეიტანე, იმ ქვეყნის რომელიმე სასურველ აკადემიაში რაღაც 200-მდე დოლარი საწევრო (შეგიძლია იქ ჩაუსვლელად საქართველოდანაც გაგზავნო) და ჩათვალე, რომ უკვე აკადემიკოსი ხარ! ასე გახდა ერთი ჩემი მეგობარი პოეტი, მაგალითად, 11 აკადემიის წევრი, აქედან 5 უცხოურის.

ზოგს ეჭვი ეპარება, ფიქრობს, არის კი საჭირო ქვეყანაში ამდენი აკადემია და აკადემიკოსი? რას ბრძანებთ, ბატონებო, საქართველოში, სადაც განათლების რეფორმა პრიორიტეტულია, ეს ხომ კანონზომიერი პროცესია – განათლების რეფორმა და აკადემიები ურთიერთგადაჯაჭვულნი არიან.

თუ ასეა, მაშინ რატომ არის, რომ ქვეყანა უკანუკან მიდის, აკადემიები კი მრავლდება და მრავლდებაო? – მეკითხებიან.

გაუთვითცნობიერებელ ადამიანებს უჩნდებათ ასეთი კითხვა, თორემ ჩვენში დღესაც ბევრი დარგი რომ არის უაკადემიოდ დარჩენილი, სწორედ ამიტომ არის იქ ჩავარდნები. აბა ნახეთ,რა ხდება სოფლის მეურნეობაში, სადაც ჩემი ეროვნული აკადემიები მუშაობს. სწორედ მათი გარჯის ნაყოფია (ზოგი ამას მცდარად მინისტრ კვეზერელს მიაწერს), რომ უცხოეთიდან შემოტანილი, ემულგატორებით გამდიდრებული პროდუქტები არა მარტო სუპერმარკეტებსა და ბაზრებში, ქუჩებშიც ბლომად დაიყარა.

ამ სასწაულებრივ მიღწევებზე გვქონდა საუბარი ამას წინათ ჩემი აკადემიების დაარსების 10 წლისთავის იუბილეზე, სადაც დარგობრივი აკადემიების 500-ზე მეტ აკადემიკოსთან ერთად მთელი სახელისუფლებო ელიტა მყავდა მოწვეული. ზეიმს საპატიო მიზეზით (ამერიკაში ვიზიტის გამო) არ ესწრებოდა მხოლოდ პრეზიდენტი სააკაშვილი. არადა წვეულება, მთელი ეს საარაკო პურმარილი მის კეთილგანწყობაზე იყო ორიენტირებული. ჩვენი არაპროგნოზირებადი პრეზიდენტის ამბავი რომ ვიცი, ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს წამოუაროს და ეროვნულ ინტელიგენციასთან ერთად ეროვნული აკადემიების აკადემიკოსებიც ჩარეცხოს?

წერილის მოწერაც ამან გადამაწყვეტინა. იქნებ პრეზიდენტმა შემთხვევით წაიკითხოს (ის ხომ გაზეთებს, როგორც წესი, არ კითხულობს) და თავისი მადლიანი ხელი და მზრუნველი თვალი მომავალშიც არ მოგვაკლოს.

**ოტია ჩართოლანი,**

**ჰიკაანის, ყიტაანისა და კოჰბაანის ეროვნული აკადემიების პრეზიდენტი, ნიუ-იორკის პენსილვანიისა და მასაჩუსეტსის აკადემიების ნამდვილი აკადემიკოსი.**

სამბო

# თბილისში შეხვედრამდე

**უკვე გაუწყეთ, რომ ბერძნულ მუდანიაში საქართველოს ახალგაზრდა და ჭაბუკმა სამბისტებმა ევროპის პირველობის 15 მედალი მოიხვეჭეს, მათ შორის – 6 ოქროსი. განსაკუთრებით ახალგაზრდებმა ისახელეს თავი: მათს ანგარიშზეა 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო, რითაც არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს და 17 წლის შემდეგ რუსეთის ნაკრები ჩამოიტოვეს.**

საბერძნეთიდან დაბრუნებულმა სამბისტებმა სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში



პრესკონფერენცია გამართეს. ელადაში გამართული ორთაბრძოლების შედეგებზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ ილაპარაკა: „ნებისმიერ ტურნირზე ჩვენი უმთავრესი კონკურენტი რუსეთის ნაკრებია, რომლის წლიური ბიუჯეტი 56 მილიონს აღწევს, ჩვენი კი 80 ათას ლარს არ აღემატება, ამიტომ ახალგაზრდები და ჭაბუკები შეკრებებსა და საერთაშორისო ტურნირებზე ვერ მიგვყავს. ამის მიუხედავად, ოფიციალურ შეჯიბრებებზე ჩრდილოელ მეზობლებს ღირსეულ წინააღმდეგობას ვუწევთ, ამჯერად კი მათი ახალგაზრდები დავჯაბნეთ.

წლევანდელ მსოფლიოს პირველობას 7-13 ოქტომბერს თბილისი უმასპინძლებს. ვეცდებით, ორივე ასაკში ვაჯობოთ უმთავრეს კონკურენტს, ოღონდ საამისოდ მთავრობის ხელშეწყობა დაგვჭირდება: ასპარეზობამდე ბიჭებს ორი შეკრება მაინც უნდა მოვუწყოთ, მაშინ გამარჯვება უფრო რეალური იქნება.

რაც შეეხება უფროსთა ნაკრებს, იგი ამჟამად დუშეთის ბაზაზე იმყოფება. საწვრთნელ შეკრებაზე 30 აპრილამდე დავრჩებით, შემდეგ კი მინსკში გავემგზავრებით და იქ განვაგრძობთ მზადებას. ევროპის ჩემპიონატში 14 მაისიდან ჩავებმებით, რომელსაც ბელარუსის დედაქალაქი უმასპინძლებს. 5-6 მედლის მოპოვებას ვგეგმავთ, საიდანაც ალბათ 2 ჯილდო ოქროსი იქნება. შესაძლოა, უკეთესი მონაგრისთვისაც გვებრძოლა, მაგრამ 90 კილოში არ გვეყოლება მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული მინდია ბოდაველი, რომელიც ძიუდოისტთა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სპეციალური პროგრამით ემზადება“.

პრესკონფერენციაზე მთავარმა მწვრთნელმა განსაკუთრებით მძიმეწონოსანი **ლევან მუქერია** შეაქო, რომელმაც ახალგაზრდებში უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა: სტარტზე ორი წარმატების შემდეგ ნახევარფინალში სომეხ არტურ მირზოიანს სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში კი ბულგარელ მარლენ მალინკოვს მოუგო.

ლევანი 20 წლისაა. მეექვსე წელიწადია, ძიუდოსა და სამბოში ვარჯიშობს. 2005 წელს ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე ბრინჯაო ხვდა, შარშან და შარშანწინ ახალგაზრდების მსგავს შეჯიბრებებში მეორე ადგილები დაიკავა. წლეულს თბილისში იგი მსოფლიოს პირველობაზე იჭიდავებს.

პრესკონფერენციის ბოლოს ამაგდარ მწვრთნელსა და ექსტრა-კლასის არბიტრ შოთა ზუკაკიშვილს ღირსების ორდენი გადაეცა.

**ლექსო ცინცაძე**

საგინესო



# რეკორდს შეუტევს

**ყურებით სიმძიმის აწევა ახალი ექსტრემალური სახეობაა მსოფლიო სარეკორდო მოძრაობაში. ამის მიუხედავად, ქართველმა ათლეტმა, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის ქვეყნის ჩემპიონმა ლაშა პატარაიამ უკვე შეძლო საზოგადოებრიობის ყურადღება მიეპყრო:** 2003 წელს მან ორივე ყურით 52,5 კილოგრამი ასწია და 19,9 წამი გააჩერა, ხოლო 2,4-ტონიანი მიკროავტობუსი 48,6 მეტრზე გადააადგილა. ოთხი წლის შემდეგ 7,7-ტონიანი შვეულმფრენი 26,3 მეტრზე გასწია. ამ ასპარეზობებით ლაშა პატარაიამ შეჯიბრების უჩვეულო მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი.

წლეულს 28 აპრილს ქართველი ძალოსანი საკონცერტო ცენტრის „ივენთჰოლში“ თავის მეხუთე მსოფლიო საგინესო-სარეკორდო პაექრობას გამართავს: ორივე ყურს ჩამარყუჟებული თასმით პლინტიდან 86 კგ სიმძიმეს აწევს.

ფეხბურთი

# ვინ ჩავა ჰამბურგში?

**12 მაისს ჰამბურგი ევროპის ლიგის ფინალს უმასპინძლებს და, ბუნებრივია, ამავე სახელწოდების კლუბის ქომაგებს მათი საყვარელი გუნდის ხილვა სურთ გადამწყვეტ რაუნდში.**

მას შემდეგ, რაც ბრუნო ლაბადიას შეგირდებმა იღბლიანი სტარტის მერე ბუნდესლიგაში პოზიციები დათმეს და მეშვიდე ადგილამდე დაქვეითდნენ, მთავარი მწვრთნელის გადარჩენა პოპულარულ ევროპულ ტურნირში წარმატებით თუ შეიძლება. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ამის მიღწევა გერმანელებს ძალიან გაუჭირდებათ, რადგან პირველი ნახევარფინალური შეხვედრა საკუთარ მინდორზე ფრედ – 0:0 დაასრულეს „ფულჰემთან“ და ერთ კვირაში ინგლისში ურთულესი საპასუხო მატჩი ელით.



შედარებით მძიმე სარევანშო ბრძოლა მოუწევს ფეხბურთის სამშობლოს კიდევ ერთ წარმომადგენელ „ლივერპულს“, რომელიც მადრიდში „ატლეტიკოსთან“ 0:1 დამარცხდა (გოლი ფორლანმა გაიტანა–ძ. ესპანელებს რომ გამართლებოდათ, დიდი სათამაშო უპირატესობა უფრო სოლიდური ანგარიშით უნდა გამოეხატათ.

დურმიშხან ბერუაშვილი – 75

**ბერუაშვილო დურმიშხან,**
**გაზრდილო სოფელ ფცაშია,**
**შენი ბადალი ვინ გვყავდა**
**მთაში გინდა თუ ბარშია.**

ალარ მახსოვდა, ეს სტრიქონები პოეტისა იყო თუ ხალხური. ახლახან ცნობილი მოჭიდავის გიორგი ბეინიშვილის ლექსების კრებულს ვათვალიერებდი (ვინა თქვა, ჭიდაობა ინტელექტუალური სპორტის სახეობა არ არისო?!–ძ. სახელმოხვეჭილი ქართველი ფალავნის დურმიშხან ბერუაშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საგაზეთო წერილისთვის ეს სტრიქონები უბის წიგნაკში მოვინიშნე. ფცა ქართლის ულამაზესი სოფელია. ბერუაშვილების გვარის ერთი შტო (მეორე – ცხინვალზე მიბმული ერედვია, დღეს რუსი ოკუპანტებისა და ოსი სეპარატისტების სანავარდო რომ გამხდარა–ძ სწორედ ფცის ხეობიდან მოდის. წინა საუკუნის 20-30-იან წლებში სწორედ აქ სახლობდნენ ძმები – მოჭიდავეები ლაზარე და ნესტორ ბერუაშვილები. ზამთარ-ზაფხულ მიწასთან შეჭიდებულნი იშვიათად თუ გადიოდნენ სოფლიდან, სამაგიეროდ, მათი სახელი „მოგზაურობდა“ ხეობიდან ხეობაში, სოფლიდან სოფელში. ისეთ ამბებს ჰყვებოდნენ მათზე, ქართული ჭიდაობის ტრფიალთ შინ რა გააჩერებდა – სახელის საძებნელად ბერუაშვილებთან საჭიდაოდ მოდიოდნენ ფცაში და... ნირწამხდარი და ბეჭებზე ნახერხაყოლილი კი ბრუნდებოდნენ უკან.

**ხე ნაყოფით იცნობა**

– თქმა არ უნდა, – მეუბნება სპორტის გამოჩენილი მოღვაწე, ქართული ძიუდოს ცოცხალი ლეგენდა გურამ პაპიტაშვილი, – ბერუაშვილების მოჭიდავეთა მთელი პლეადა, საერთოდ, ჭიდაობის ეშხსა და ლაზათს რომ წარმოადგენს, ნესტორ და ლაზარე ბერუაშვილების მძლავრ ფესვებზეა ამოყლორტილი. დურმიშხან ბერუაშვილი კი მათ შორის გამორჩეულია. ჭიდაობის დიდოსტატი დღეს 75 წლისა გახდებოდა. შვილებით, შვილიშვილებით, შვილთაშვილებით, რომელთა შორის ბევრია ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონ-პრიზიორები, ბერუაშვილების მრავალრიცხოვანი ჯალაბით დამშვენებულს, ალბათ იუბილარის სავარძელში ჩააბრძანებდნენ და ქების, სიყვარულისა და პატივისცემის სიტყვებს ბევრს ეტყოდნენ, მაგრამ, ვაგლახ, რომ დურმიშხანი ამ სოფლიდან კარგა ხნის წასულია და ბედმა ინება, მასზე წარსულ დროში ვილაპარაკოთ.

დურმიშხან ბერუაშვილი – საქართველოს ფალავანი, მრავალგზის გამარჯვებული ქართულ ჭიდაობაში.

დურმიშხან ბერუაშვილი – საქართველოს, საბჭოთა კავშირის, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი სამბოსა და ძიუდოში.

ასეთი იყო იგი, ასეთად დარჩა სპორტის მოყვარულთა ხსოვნაში. ჭიდაობის დღესასწაული – საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 1994-1995 წლებში დაბადებულთა შორის, რომელიც გორში, გურამ პაპიტაშვილის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა, დურმიშხან ბერუაშვილის დაბადების 75 წლისთავს მიეძღვნა. ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს მხარეების გუნდები, აგრეთვე, აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის ნაკრებები. შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ დურმიშხან ბერუაშვილის შვილიშვილი, ძიუდოისტი დურმიშხან ბერუაშვილი. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ავიდნენ: 50 კგ. – აკაკი შენგელია (ზორჯომი–ძ, 55 კგ. – გაგა აფაქიძე (თბილისი–ძ, 60 კგ. – გიგა ხორბალაძე (გორი–ძ, 66 კგ. – ლევან გურჩიანი (საგარეჯო–ძ, 73 კგ. – ბექა ღვინიაშვილი (გორი–ძ, 81 კგ. – გიორგი გოგინაშვილი (გორი–ძ, 90 კგ. – დავით ბუჩუკური (კასპი–ძ, +90 კგ. – გიგა ფხაკაძე (გორი–ძ.

გამარჯვებულებს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადასცა შიდა ქართლის გუბერნატორმა ლადო ვარძელაშვილმა, რომელიც, ესეც უნდა ითქვას, ბევრს აკეთებს რეგიონში სპორტის განვითარებისთვის, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის.

**გურამ ვაშაკიძე**

აღმოსავლური ორთაბრძოლები

# სიძეც ასეთი უნდა!

**ეკა ჟვანია ყოფილი ჩოგბურთელია, რამდენიმე წლის წინათ ამერიკაში წავიდა სასწავლებლად. იქვე გაიცნო მაიკლ მიხალკო და მალევე დაქორწინდნენ. მაიკლი ბრაზილიური ჯიუ-ჯიცუს ინსტრუქტორია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ავარჯიშებს სპორტის ამ სახეობაში. იგი ქართველ მეუღლესთან ერთად თბილისს ეწვია და ათ დღეზე მეტია არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში აქაურ სპორტსმენებს აოსტატებს.**

– ბრაზილიური ჯიუ-ჯიცუ პოპულარული სახეობაა, – მითხრა აღმოსავლეთ ევროპის ჯიუ-ჯიცუს საზოგადოების პრეზიდენტმა **ავთანდილ მიქაძემ,** – პაექრობები უმთავრესად პარტერში მიმდინარეობს, ამიტომაც არის, რომ ბრძოლას წესების გარეშე უმთავრესად სწორედ სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები იგებენ მნიშვნელოვან ტურნირებზე. ამერიკელმა სტუმარმა შემოგვთავაზა ქართულ-ამერიკული საბრძოლო ხელოვნებათა აკადემიის დაარსება. ამერიკის ბევრი შტატის უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს ბრაზილიური ჯიუ-ჯიცუს ჯგუფები და ჩვენს სპორტსმენებს შესაძლებლობა მიეცემათ, იქ აიმაღლონ კვალიფიკაცია.

**– ჩვენთან ამ სახეობას ბევრი მიმდევარი ჰყავს?**

– საქართველოში იგი, ფაქტობრივად, ახალი ხილია, მაგრამ უკვე მუშაობს ჯგუფები თბილისში, ფოთში, ხაშურსა და თიანეთში. უკვე 150-ზე მეტი სპორტსმენი იმაღლებს კვალიფიკაციას. მიხალკოს სტუმრობამ და მისმა პრაქტიკულმა მეცადინეობებმა დიდად გაგვიმართა ხელი. აკადემიის დაარსება კი ჩვენთან ჯიუ-ჯიცუს გეოგრაფიას გაზრდის, რადგან ათლეტებსა და ინსტრუქტორებს მეტი პერსპექტივა ექნებათ.

**ვაჟა დანელია**



**სურათზე: მაიკლ მიხალკო მორიგ მეცადინეობაზე.**
**ავტორის ფოტო**

SIC!

# ფიროსმანს რუსული ხელოვნების აუქციონზე ჰყიდიან!



**„ჩემი ფიქრები სადღაც გარბიან,**
**შორს მიჰქრის სული მოუსვენარი.**
**ახლა შორიდან უფრო კარგია**
**მუხრანის ხიდი და არსენალი...“**

ასე უმღეროდა ტერენტი გრანელი ღამეულ თბილისს, ნიკო ფიროსმანმა კი საოცარი ფერებით გააცოცხლა არსენალის ცა. „არსენალის მთა ღამით“ შედევრადაა მიჩნეული.

სამწუხაროა, რომ ეს შედევრი საქართველოში არ არის და ორიოდ თვეში აუქციონზე უპირებენ გატანას.

ამის შესახებ ჟურნალისტმა გიორგი ლალიაშვილმა ლონდონიდან შეგვატყობინა: 10 ივნისს, ლონდონის მაკდუგალის რუსული ხელოვნების აუქციონზე გასაყიდად გამოაქვთ ფიროსმანის საუკეთესო ტილო „არსენალის მთა ღამით.“ არავინ იცის, საიდან და როგორ მოხვდა ეს შედევრი ამ აუქციონზე. ჯერჯერობით აუქციონის კატალოგი არ დაბეჭდილა, სადაც აუცილებლად იქნება მითითებული ამ სურათის წარმომავლობა.

მაკდუგალის აუქციონი უკვე 6 წელიწადია არსებობს ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ადგილზე, წმინდა ჯეიმსის მოედანზე. იგი ცნობილია, როგორც რუსული ხელოვნების აუქციონი, რადგან ძირითადად, რუსულ ხატებს, რუსული კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებებს ყიდის. თუმცა, დროდადრო მათ გაყიდვებზე ჩნდებიან ხოლმე პოსტსაბჭოთა სივრცის მხატვრებიც, რომლებსაც რუსული ხელოვნების სახელით ჰყიდიან. ამ აუქციონის მესვეურებს ლონდონში, არაერთხელ მიუთითეს კერძო პირებმა, რომ სიყალბეა რუსული ხელოვნების სახელით წარმოადგინო ფიროსმანი, მარტიროს სარიანი, სერგო ფარაჯანოვი, ელენე ახვლედიანი, ავთო ვარაზი.

ისინი ამ შენიშვნებს მუდამ უყურადღებოდ ტოვებენ, ამიტომ საჭიროა, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ოფიციალურად მიმართოს ლონდონის მაკდუგალის აუქციონს, რათა მომავალში თავი შეიკავონ ქართველი ავტორების ნამუშევართა მიღებისგან.

იხ. 12 გვ.

ხელოვნება

## ელგუჯა კავკასიძე

ადამიანად ყოფნის ყველა შესაძლებლობას შორის უპირველესი მაინც ღირსების განცდის უნარი უნდა იყოს, ალბათ, რაც პასუხისმგებლობისა და თავმდაბლობის ერთიანობის გარეშე, მართლაც, წარმოუდგენელია.

ელგუჯა კავკასიძე, ჩვენთვის გუჯა, გამორჩეულთა შორის სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა. ერთმანეთს შეზავებული მომთხოვნელობა, პუნქტუალობა და, ამასთანავე, უბრალოება მისი პიროვნულობის ნამდვილი სავიზიტო ბარათი გახლდათ.

1931 წლიდან, ანუ დაბადებიდან დღემდე იცხოვრა ისე, როგორც უნდა ეცხოვრა ჭეშმარიტ, ნათელ, შრომისმოყვარე ადამიანს. უცხო ენათა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა.

1959 წლიდან საქართველოს ტელევიზიასა და რადიოში რედაქტორად მუშაობისას განსაკუთრებით გამოვლინდა პოეზიის, კერძოდ, ვაჟას შემოქმედების მიმართ პატივისცემა და აღფრთოვანება. ეს იგრძნობოდა მეგობართა თავყრილობებზეც. ვაჟას ფრთიან ფრაზებს, მხოლოდ ფეხზე მდგომი დააბუბუნებდა ხოლმე. ქართულ სუფრას იგი განიხილავდა, როგორც შემეცნებისა და გრძნობიერების თანხვედრილობის ერთ-ერთ ადგილს.



ჩვენს ელგუჯას ასაკის მატებასთან ერთად და მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიარა ჟურნალისტიკის სასწავლო კურსი, ემატებოდა რეგალიებიც. იყო საქართველოს ტელევიზიის სამეცნიერო გადაცემათა განყოფილების გამგე. ცხადია, მას შემდეგ, რაც 1970 წელს დაამთავრა მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია და გახდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ელგუჯას სიყვარული და მოწიწება მთისადმი, მაშინდელი ყაზბეგის, ამჟამად სტეფანწმინდის რაიონს კეთილ კვალად დააჩნდა 1973 წლიდან მოყოლებული, როცა იგი იქ რაიკომის პირველ მდივნად მიავლინეს. სტეფანწმინდელები დღესაც თბილად იხსენებენ მისი იქ საქმიანობის პერიოდს.

მთა რამდენადაც ლამაზია და მიმზიდველი, იმდენად წინააღმდეგობათა გადალახვების ჩვევების ერთგვარი ჩამნერგავიცაა და პიროვნული შესაძლებლობების გამომცდელიც და დამდგენიც. ეს გამოცდაც წარმატებით ჩააბარა ელგუჯამ.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ იმ დროისთვის ერთ-ერთ ურთულეს რეგიონში ერთ-ერთი ურთულესი საქმე მიანდეს — 1978-1980 წლებში მას ავღანეთის სახელმწიფო აპარატის მრჩეველთა იდეოლოგიური მუშაობის დარგი ჩააბარეს. მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელს, სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილ კაცს, ვაჟასა და ყაზბეგის სუნთქვით გაჯერებულს, არ გასჭირვებია ავღანელების გულთან მისვლა. საბჭოეთიდან ის ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვისაც საკუთარი მიწა-წყლის ტკივილი კარგად ესმოდა და ვისაც სულში ამოტვიფრული ილიას სიტყვები — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნოდესო“ — არ ასვენებდა. ამიტომაც ერთი იყო ნომენკლატურული მოთხოვნები და მეორე — საკუთარი ცნობიერებით ნაკარნახევი მოქმედებების წეს-განრიგი. იქაც, ავღანეთშიც, ელგუჯა კავკასიძე ადამიანური ვალდებულებების წინაშე ჭეშმარიტი ქართველებით წარსდგა.

1981 წლიდან სამშობლოში დაბრუნებული ისევ სწავლობს, ისევ მუშაობს, ისევ ესიყვარულება ქართულ მიწას, ქართულ სულს.

კეთილი ურთიერთობების მარად მძებნელსა და შემოქმედს ყოველთვის შეეძლო ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული ურთიერთობების აწყობა ნებისმიერ პერსონებთან, ნებისმიერ გარემოში, ნებისმიერი დაპირისპირების პირობებშიც კი. მისი სამსახურებრივი იერარქიული საფეხურებიც, ამ თვისებებიდან გამომდინარე, ზევით და ზევით მიიწევდა, იგი იყო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატში, იყო დეპუტატი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი, ტურიზმის ფედერაციის თავმჯდომარე, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და სხვა. ყოველნაირად, ყოველმხრივ ცხოვრობდა ჯანსაღი ცხოვრების წესით. ყველაფერთან ერთად ელგუჯა სპორტსაც მისდევდა და სპორტის ოსტატის წოდებაც კი მიანიჭეს.

ელგუჯა იყო დიდებული, მართლაც სამაგალითო ოჯახის თავკაცი, კარგი შვილი, კარგი მამა, კარგი მეუღლე, კარგი ძმა.

წავიდა ბედნიერი, რადგან მისი წილი ცხოვრება ღირსეულად განვლო და სამაგალითოდაც ბევრი რამ დატოვა. მხოლოდ ერთი სატკივარი დარჩა — საწოლს მიჯაჭვულმა მარადიულ სამყოფელამდე ვერ გააცილა ძმა.

ძმაო გუჯა, ღმერთისა და ქვეყნის წინაშე პირნათელო კაცო, ჩვენ მოგვენდო უკანასკნელ გზაზე შენი გატარება. სიყვარულითა და სინანულით ვასრულებთ ამ წმიდათაწმინდა ვალს.

გვჯერა და გვწამს, რომ იქაც ის იქნები, რაც აქ იყავი, ჭკვიანი, კეთილი გუჯა.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*უახლოესი მეგობრები:*
გურამ გვეტაძე, გურამ ნასიძე, ზურაბ ბალანჩივაძე, ჯონი ჩხენკელი, თამაზ სულუხია, ლეზე გიორგობიანი, ჯემალ კანდელაკი, ანზორ ბერაძე

ხელოვნება

## ვასიკო მჭედლიშვილი



საუბედუროდ, რამდენიმე თვეა, ველოდით ამ დღეს... განწირული იყო, ველარაფერი შველოდა... წავიდა ჩვენი „ვასიკო“, ჩვენი „ვასია“, ჩვენი „ვასკა“... ქართველ ჟურნალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, დიდი დავით მჭედლიშვილის ვაჟიშვილი ვასილ მჭედლიშვილი — ცნობილი ჟურნალისტი, ნიჭიერი, გულიანი კაცი, 65 წლის ასაკშიც რომ რომანტიკოსად დარჩა, დაუდგრომელი ცხოვრებით იცხოვრა, წერა ბრწყინვალე წერილები, გამოსცა რამდენიმე ჟურნალისტური კრებული, ურედაქტორა ჟურნალ-გაზეთებს, ჭირი არ დაიკლო და ლხინი, ცრემლიანიც იყო და ფორტეპიანოზე თუ გიტარაზე უზადო დამკვრელ-დამმღერებელიც...

დატოვა შესანიშნავი ოჯახი, გულდამძიმებული ცოლ-შვილი, წაიღო უახლოესი სამეგობროს გული და... წავიდა ჩვენი რომანტიკოსი ძმა!

ნათელში იყავ, ვასიკო!

*მეგობრების სახელით*
**ვილენ მარდალეიშვილი**

---

დედა მედეა მჭედლიშვილი, მეუღლე ლია სალარეიშვილი, შვილები დეა, დათო, ავთო, და ქეთინო მჭედლიშვილები, შვილიშვილები ნესტან, ნინი, გიორგი, სიდედრი ციცინო სალარეიშვილი ოჯახით, სიძეები თამურ შაშიაშვილი, ბუბა ჯაფარლი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ დავითის ძე მჭედლიშვილი

პანაშვიდი 25, 26 IV, გამოსვენება 27 IV, 14 სთ. ტაშკენტის ქ. შესახვევი №4.

---

ზაურ, ნანი, ნინო, ია ფიფიები დიდი სინანულით იუწყებიან გულითადი მეგობრის

ვასიკო (ვასილ)-ძ მჭედლიშვილის

გარდაცვალებას.

---

რამინ ჭელიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ლია სალარეიშვილს მეუღლის

ვასილ (ვასიკო)-ძ მჭედლიშვილის

გარდაცვალების გამო.

ხელოვნება

## ელგუჯა კავკასიძე



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის ოსტატი მრავალ სახეობაში, კეთილშობილი პიროვნება გუჯა (ელგუჯა)-ძ კავკასიძე. მრავალი წელი იმუშავა საქართველოს ტელევიზიის სამეცნიერო გადაცემათა განყოფილების გამგედ, იყო საქართველოს ტურიზმის ფედერაციის თავმჯდომარე, ყაზბეგის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი, მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდიუმის აპარატში, მინისტრთა კაბინეტში. ბოლო წლებში იყო „მონკავშირის“ ვიცე-პრეზიდენტი, მეცნიერების დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით.

უზომოდ უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი. გაგანია ომში ქართველი ჯარისკაცების მოსანახულებლად წავიდა ავღანეთში. მანვე აღმოაჩინა ავღანეთში ქართული დასახელების სოფელი „გურჯისტან“ და მრავალი სტატია გამოაქვეყნა.

წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტი მოქალაქე, სპეტაკი სულის პიროვნება, გულისხმიერებით გამორჩეული ერთგული მეგობარი, აქტიური, ყველა სასიკეთო საქმის მოთავე, გულწრფელად და პირნათლად ემსახურა სამშობლოს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება გუჯა კავკასიძის გარდაცვალებას, თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს.

*საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე*
**მერაბ ბერძენიშვილი**

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფესორ ელენე კოშორიძის ძმის

ჯიმშერ კოშორიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი პედაგოგის

ოთარ ნიკოლავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

სს „რაშის“ აქციონერებს ვთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელ: 874-755-276 ან ოფისში ა/სერვისი. მისამართი: თემქა, მე-3 მ/რ, მე-5 კვ.

დირექცია

SIC!

# ფიროსმანს რუსული ხელოვნების აუქციონზე ჰყიდიან!

(მეთერთმეტე გვერდიდან)

მანამდე კი, სანამ სამართლიანობა აღდგება, ჩვენს უმთავრეს საზრუნავად ის უნდა იქცეს, რომ ფიროსმანის შედევრი არ დაეკარგოს საქართველოს. თუკი, მას ამიერიდან უცხოელი მფლობელი ეყოლება, ძნელი წარმოსადგენია, რომ ახალი პატრონი ოდესმე დათანხმდეს ფიროსმანის დიდ გამოფენებში, თუნდაც დროებით ჩართვას.



**ამიტომ უნდა მივაწვდინოთ ხმა ყველა ქართველს, ვისაც აქვს შეძლება, მიიღოს მონაწილეობა 10 ივნისს დაგეგმილ აუქციონში,** სადაც ფიროსმანის ტილოს საწყისი ფასი 900 000-დან 1 200 000 გირვანქა სტერლინგია.

**შეიძლება შეიქმნას სახელმწიფო ფონდიც, რომელიც იზრუნებს ფიროსმანის სურათი საქართველოს საკუთრებად იქცეს.** ამის საუკეთესო მაგალითად კი ბრიტანული საზოგადოება გამოდგება. ამას წინათ, როცა კერძო მფლობელებმა რაფაელის, ტიციანის, უილიამ თერნას, ფრენსის ბეკონის სურათების სოთბისა და კრისტის აუქციონებზე გაყიდვა განიზრახეს, მათ შესაძენად შექმნეს საგანგებო ფონდები და ყველა შემთხვევაში ინგლისური მუზეუმები და გალერეები გახდნენ ხსენებული ავტორების საბოლოო მფლობელები.

**„internet.ge“**-სთვის 22 იანვარს მიცემულ ინტერვიუში ხელოვნებათმცოდნე გიორგი ხოშტარია მოგვითხრობს, რომ ფიროსმანის ტილოს აუქციონისთვის გამეტებას გოკა გაბაშვილის კულტურის მინისტრობის პერიოდს უკავშირებს. 1969 წელს ფიროსმანი ლუვრში დიდი პატივით გამოფინეს, მოსკოვიდან ნახატებისთვის ხალხი გაუყოლებიათ, რომელთაც ქართველი მხატვრებიც ახლდნენ.

საფრანგეთში ამ კოლექციის გატანა ფრანგ მწერალ ლუი არაგონისა და მაიაკოვსკის სატრფოს – ლილია ბრიკის სახელს უკავშირდებოდა. წლების მანძილზე დაკარგულად მიჩნეული ფიროსმანის ტილო „არსენალის მთა ღამით“ ლუი არაგონის ოჯახში მოხვედრილა, რომლის მეუღლეც ელზა ტრიოლე მაიაკოვსკის ყოფილი სატრფოს – ლილია ბრიკის ღვიძლი და გახლდათ.

„თავის დროზე ლილიამ ფიროსმანის რამდენიმე სურათი იყიდა ილია ზდანევიჩისგან, რომელიც თავის ძმასთან ერთად მხატვრის ნამუშევართა პირველი კოლექციონერი იყო. მათ ფიროსმანის მრავალი სურათი გადაარჩინეს.

გაჭირვების დროს, ომის შემდეგ ზდანევიჩმა ერთი სურათი მიჰყიდა ლილია ბრიკს. ლილიამ კი ზდანევიჩისგან ნაყიდი სურათი აჩუქა თავის დას, არაგონის ცოლს. მათ შვილები არ ჰყოლიათ. მათი გარდაცვალების შემდეგ დარჩა რომელიღაც ფონდი, სადაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ვიღაც სომეხი აღმოჩნდა, რომელმაც საბუთები გააყალბა, სურათი მიისაკუთრა და გაყიდვა დაუპირა. ამ ნამუშევრის შესყიდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, მაგრამ გოკა გაბაშვილმა ეს შანსი ხელიდან გაუშვა,“ – აღნიშნავს გიორგი ხოშტარია. შემდეგ დასძენს, პარიზში ფიროსმანის ტილოსთვის რომ მიუკვლევია, მიუმართავს კულტურის მაშინდელი მინისტრისთვის, ტილო შეისყიდეთო. მით უფრო, რომ მის მფლობელსაც მოლაპარაკებია, დაკლებულ ფასად მოეყიდა ჩვენთვის ფიროსმანის შედევრთა შედევრი – „არსენალის მთა ღამით,“ მაგრამ, პასუხი არ მიმიღიაო, – დასძენს ხოშტარია.

**ახლა კი ეს სურათი აუქციონზე გადის... და იკარგება სამშობლოში მისი დაბრუნების შანსიც.**

**მართლაც, დასანანი იქნება ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“ სხვაგან, უცხოელი პატრონის ხელში დარჩეს. ის ერთ-ერთი უძლიერესი ნახატია და აუცილებლად საქართველოში უნდა ინახებოდეს! ოფიციალურად ორმოც მულტიმილიონერზე მეტი ქართველია მსოფლიოში და განა რას გააკეთებენ ისინი იმაზე მნიშვნელოვანს, ვიდრე ფიროსმანის შედევრის საკუთარი ქვეყნისთვის შენარჩუნებაა?!**

იქნებ შეძლებულმა პიროვნებებმა, ასევე, მთელმა საზოგადოებამ, შექმნან საგანგებო ფონდი, რომელიც 10 ივნისს მაკდუგალის აუქციონში მიიღებს მონაწილეობას და ფიროსმანს ქართულ წიაღში დააბრუნებს?

**თამარ შაიშმელაშვილი**

ინფორმაცია

# მეგობრობა – გზად და ხიდად

ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ რაც ავად გავხდი და ჯერჯერობით სარეცელს ვარ მიჯაჭვული. ყველა გამიგებს, თუ რაოდენ მძიმეა ეს სულიერი მდგომარეობისთვის; ამას ემატება აგრეთვე მწირი ფინანსური შესაძლებლობები და ასეთ ჩემთვის უმძიმეს დღეებში სულიერი და მატერიალური მხარდაჭერა გამიკეთეს ეროვნებით სომეხმა, ქალაქ სოჭში მცხოვრებმა ლეონ სადიკიანმა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორმა, ამჟამად მოსკოვის სოფლის მეურნეობის კ. ტიმირიზევის სახელობის აკადემიის პრორექტორმა ჯემალ ფაცურიამ, რომლებთანაც ერთად 1974-1975 წლებში ვსწავლობდი ზემოთ აღნიშნულ აკადემიაში და იქიდან მოყოლებული მეგობრობა მაკავშირებს.

ულრმესი მადლობა მათ და ყველა იმათ, ვინც რაღაც ფორმით გამოხატეს მხარდაჭერა, ჩემთვის მეტად ასეთ მძიმე პერიოდში.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

**კარლო გუგუშვილი**
**ქ. აბაშა**

ანეკდოტები

პირველი კითხვა, რომელიც პარლამენტში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის მოსმენის შემდეგ გიჩნდება, ასეთია – რაზე და ვისზე ლაპარაკობს?

* * *

პუტინსა და მედვედევს ძალიან უყვართ რუსეთი. ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ რიგ-რიგობით გააკეთონ საქმე.



* * *

მოსემ ორმოცი წელიწადი ატარა ებრაელები პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

* * *

გავიცნობ სამ-ოთხ გოგოს სერიოზული ურთიერთობებისთვის.

* * *

„ეს შეუძლებელია!“ – თქვა მიზეზმა.

„ეს უგუნურებაა!“ – შენიშნა გამოცდილებამ.

„ეს უსარგებლოა!“ – მოჭრა სიამაყემ.

„სცადე!“ – ჩაიჩურჩულა ოცნებამ.

„წადით, თქვენი“... – წაისისინა სიზარმაცემ.

დღის კალენდარი

24 აპრილი

მღვდელმოწამისა ანტიპასი, ასიის პერგამის ეპისკოპოსისა (დაახლ. 68 წ; მოწამეთა: პროკლესი და მარტინიანესი (დაახლ. 67 წ; ღირსისა ფარმუთისა (IV ს; ღირსისა იოანესი, ღირსისა გრიგოლ დეკაპოლელის მოწაფისა (IX ს.



ამოდის 05.06
ჩადის 18.51



ამოდის 19.07
ჩადის 04.58

## დაიბადნენ:

**1884 – ამადეო მოდილიანი,** ცნობილი იტალიელი მხატვარი. გარდაიცვალა 1920 წელს.

**1899 – იოსებ გრიშაშვილი,** თვალსაჩინო პოეტი. გარდაიცვალა 1965 წელს.

**1933 – რეზო ჭეიშვილი,** ცნობილი მწერალი.

**1942 – კარლო ფაჩულია,** მხატვარი, გრაფიკოსი.

## გარდაიცვალნენ:

**1931 – დავით კლდიაშვილი,** გამოჩენილი მწერალი.

**1966 – სიმონ ჩიქოვანი,** გამოჩენილი პოეტი.

**1960 – მაქს ფონ ლაუე,** გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

## მოვლენები:

**1953 წელი** – დედოფალმა ელიზაბეტ II უინსტონ ჩერჩილს რაინდობა მიანიჭა.

**1970 წელი** – ჩინეთმა გაუშვა პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ახალგაზრდობის სოლიდარობის დღე.**

**სომხეთი** – სომეხთა გენოციდის დღე.

**მედიანიუსი**

„ოჯახის მკურნალი“

ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორი), ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებია), ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მიმინოშვილი), მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა

რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა,
98-64-86, 98-99-55, (899) 55-99-61.
www.alashvili.com

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.